975
1998

# ბურჯი ეროვნებისა



№2
1998

ბესარიონ
ჯორბენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი აგალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
კახა გაბუნია

„ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების აღიარება ნახევარი გასწორებაა...

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არა ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს... ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხერხოდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.

# შინაარსი


**თსუ - 80**

ფუძედ დაედო გელათი
(ინტერვიუ აკადემიკოს როინ მეტრეველთან) ........................ 2

**სახელმწიფო ენა**

ბენედიქტ რუეე – პოლიტიკა ფრანგული ენის დაცვისა ......... 4

**მწერლის ენა**

ბ. ჯღორბენაძე – ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი სამყარო ...... 5

**აკაკი შანიძე– 111** ........................................................ 8

**ვულოცავთ**

ქ. ბეზარაშვილი, თ. ოთხმეზური – სიცოცხლე წიგნისათვის .... 9

**ადიდებს სული ჩემი უფალსა**

წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი ................................ 10

**ერის სულიერი მამები**

ღირსი მამა – ეპისკოპოსი ალექსანდრე ............................ 11

**აბიტურიენტის ფურცელი**

ლ. გეგუჩაძე – ნაცვალსახელი ........................................ 12
თ. შარაბიძე – ვაჟა-ფშაველას პროზა ............................... 14

**თვალსაზრისი**

მ. ქურდიანი – რუსთაველი – ნიზამი ............................... 16

**მტერობა ენის...**

თ. ინჯია – დისფემიზმის წინააღმდეგ
თანამედროვე პრესის ენაში ........................................ 18

**განგაში**

გ. ყორანაშვილი – ბიზნესი სამშობლოს ხარჯზე! ................. 19

**გახსენება**

ლ. კვანტალიანი – გულქართლი კაცი ............................... 20

**ქართული ენის მოჭირნახულენი**

ქ. ბერიძე – რუთ ნოიკომი ............................................ 21

**გვახსოვდეს დედაენა** ................................................ 22, 24

**წერილი რედაქციას**

თ. თავართქილაძე – მწამს... ერთი წმიდა,
კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია ..............................23

**ფრთხილად, კლასიკოსია!**

ქართულად თარგმნიან... ქართველ მწერლებს?! ....................24



ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№2

1998




*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

**იაკობი**


გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

**ნომრის სტუმარია აკადემიკოსი როინ მეტრეველი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე**



ბ. ზვიადაძის ფოტო

# ფუძედ დაედო გელათი

**– ბატონო როინ, ჩვენი ღრმა რწმენით, თბილისის უნივერსიტეტი XX საუკუნის საქართველოს უპირველესი ტაძარია; ამაზე ძვირფასი ამ საუკუნეს ქართული კულტურისათვის არა შეუმატებია რა... ამ ტაძრის წინამძღოლობა ყველაზე საპატიო საქმედ მიგვაჩნია დღეს... ამიტომ საიუბილეო თარიღს უპირველესად თქვენ, ამ ტაძრის წინამძღოლს, მოგილოცავთ და მერე სრულიად საქართველოს!**

– დიდი მადლობა.

**– ივანე ჯავახიშვილმა ქართული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა დაამთხვია დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეს – 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს). რა სიმბოლური კავშირი უნდა დავინახოთ ამ დამთხვევაში? ხომ არა ის, რომ საუნივერსიტეტო განათლების ისტორიას საქართველოში დავით აღმაშენებელმა დაუდო სათავე გელათის აკადემიის გახსნით?**

– ძალიან სწორი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღე შემთხვევით არ შეარჩია უნივერსიტეტის საზეიმო გახსნის დღედ ივანე ჯავახიშვილმა. საქმე ის არის, რომ განათლებამ, კულტურამ დავით აღმაშენებლის პერიოდში მიაღწია ზენიტს: მწვერვალი მისი შემოქმედებისა იყო გელათის აშენება და გელათის უნივერსიტეტის დაარსება. მე შემთხვევით არ ვამბობ უნივერსიტეტს. აკადემია ჩვენი საუკუნის შუახანებში მკვლევრებმა უწოდეს მას; ეს პირობითი სახელია. ის იყო იმ ტიპის უმაღლესი დაწესებულება, როგორიც იმდროინდელ მსოფლიოში არსებობდა, ვთქვათ, საფრანგეთში, იტალიაში; როგორიც იყო, დავუშვათ, იმდროინდელი სორბონის, სალამანკისა ან ბოლონიის უნივერსიტეტები. გელათში იყო სწავლება კვადრივიუმისა და ტრივიუმის წესით, რაც სავსებით შეესაბამებოდა უნივერსიტეტს. დავით აღმაშენებლის მიზანიც ეს იყო, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონის სასწავლებელი შექმნა. აქ მეორე საინტერესო ელემენტიც არის – დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს: გელათი სხვა ათენად და მეორე იერუსალიმად მოევლინა ქვეყანასო. მოგეხსენებათ, ათენი სიბრძნის ცენტრად იყო ცნობილი, ხოლო იერუსალიმი – რწმენისა. ეს მემატიანე ხაზს უსვამს იმას, რომ გელათი უნდა ყოფილიყო ათენისა და იერუსალიმის ერთობლიობა – სიბრძნისა და რწმენის ერთობლიობა. ცხადია, ყოველივე ეს კარგად მოეხსენებოდა ივანე ჯავახიშვილს და თვლიდა, რომ თბილისის უნივერსიტეტი ცარიელ ფუძეზე კი არ დაარსდა, არამედ ის მემკვიდრე იყო იმ დიდი ტრადიციისა, რომელსაც სათავე დავით აღმაშენებელმა დაუდო. სწორედ ამიტომ გაიხსნა უნივერსიტეტი 26 იანვარს – დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს!

**– უნივერსიტეტის გახსნის ზეიმზე პირველმა რექტორმა, ბატონმა პეტრე მელიქიშვილმა, გაიხსენა გერმანიაში მისი შეხვედრა ცნობილ ავსტრიელ ენათმეცნიერთან, ჰ. შუხარდტთან: „როცა გაიგო გერმანიაში ჩემი ჩასვლის მიზანი, შუხარდტმა ღიმილით მითხრა: ქართველი რატომ ქიმიას სწავლობ, მას ხომ სხვებიც ისწავლიან, და არ იკვლევ უმდიდრესი ქართული ენის ბუნებასო. ეს ფაქტიც ნათლად ადასტურებს, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობას". ახლა, როცა გავიდა რვა ათეული წელი ამ სიტყვების თქმიდან, რას ბრძანებდით, იარა იმ გზით ქართულმა უნივერსიტეტმა, მისმა პირველმა რექტორმა რომ დაუსახა?**

– თბილისის უნივერსიტეტი არის კლასიკური ტიპის ტრადიციული უნივერსიტეტი. ამ ტიპის უნივერსიტეტებში ძირითადი მარილაც ჰუმანიტარული მეცნიერებები და ჰუმანიტარული დარგებია. ჩვენს უნივერსიტეტში პირველი დაფუძნდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი და აქედან დაიწყო განვითარება. მე მთლად ვერ დავეთანხმებოდი ვერც ჰ. შუხარდტს და ვერც პირველ რექტორს. ჰ. შუხარდტის ეს თქმა ჩემთვის გასაგებია სრულიად, ეს მისი პოზიციაა; ასევე გასაგებია ჩემთვის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის, პოზიციაც, რომელიც პროფესიით ქიმიკოსი იყო; მაგრამ დღეს უკვე 80 წლისთავზე მე, რექტორი, ისტორიკოსი, ობიექტური ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი ამ გზით არ წასულა, უფრო სწორი გზით წავიდა: გარდა ჰუმანიტარული მეცნიერებებისა, განვითარდა სხვა – ფუნდამენტური – დარგები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია... სწორედ მათემატიკურმა სკოლამ, რომელიც ჩაისახა ჩვენს უნივერსიტეტში (ა. რაზმაძისა და ნ. მუსხელიშვილის სკოლამ) მსოფლიო სახელი მოუტანა ჩვენს უნივერსიტეტსა და ქართულ მეცნიერებას. ასევე ითქმის ფიზიოლოგიის სკოლაზეც– ასე რომ, გზა, რომელიც თავიდან დაიწყო, სწორი ჩანს, მაგრამ შემდგომი კორექტივები და დაზუსტებებიც საჭირო და აუცილებელი იყო გაეხაზა. ეს აუცილებლობა იყო, რომ გარდა ჰუმანიტარულისა, განვითარებულიყო ფუნდამენტური დარგები (ტექნიკურ მეცნიერებაზე საუბარი არ არის...). მოგეხსენებათ, თავიდან უნივერსიტეტში იყო სამედიცინო, აგრარული ფაკულტეტები... შემდგომ ესენი გამოეყო უნივერსიტეტს, მაგრამ ამ ოთხიოდე წლის წინათ ჩვენ აღვადგინეთ ისევ სამედიცინო ფაკულტეტი ჩვენს უნივერსიტეტში. მთელ მსოფლიოში მედიცინა არის საუნივერსიტეტო განათლებად მიჩნეული და, ბუნებრივია, რომ ეს სრულიად კანონზომიერად ჩაითვალა. სხვათა შორის, ასე მოხდა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტშიც– ასე რომ, ვიმეორებ, გზა, რომელიც თავიდან დაისახა, დაფუძნებისათვის სწორი იყო, მაგრამ განიცადა ის ცვლილებები, რაც კლასიკური ტიპის უნივერსიტეტისაგან ქვეყანამ, ეპოქამ მოითხოვა.

— აღნიშნავენ, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. დღეს განათლების კანონი სწავლების ენად ქართულს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლებში აკანონებს. არადა, არასახელმწიფო სასწავლებელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება (დაწყებული საბავშვო ბაღებიდან, უნივერსიტეტებით დამთავრებული). იქ არაა სავალდებულო, სწავლების ენა ქართული იყოს და კატასტროფულად იზრდება არაქართულენოვან სასწავლებელთა რიცხვი. თქვენი აზრით, რას გვიქადის ეს პროცესი და უნდა გასწორდეს თუ არა განათლების კანონში დაშვებული ლაფსუსი?

— ჩემი აზრით, ეს არ არის ის, რომ ქართულ ენას ჩვენ არ ვუყურებთ კარგად და რაღაცას ვაკლებთ მის განვითარებას. მე მგონია, ეს ელემენტარული ლაფსუსია. შეცდომაა და, რასაკვირველია, უნდა გასწორდეს. მე საერთოდ ჩემი დამოკიდებულება მაქვს კომერციული უმაღლესი სასწავლებლებისადმი: მათ აქვთ, რა თქმა უნდა, არსებობის უფლება. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იქნება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბადალი, რაღაცით მას გაუთანაბრდება. პროგრამით მაინც. აბსურდად მიმაჩნია ის, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს ჰქონდეს ერთი პროგრამა, გვერდით კი კომერციულს - სხვა. ეს ერთხელ კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ არასერიოზულად ვეკიდებით ამ დაწესებულებებს.



„გელათის აკადემია - დაარსდა 1106 წელს. სასწავლო პროგრამა ძირითადად ტრივიუმის (გეომეტრია - „ქვეყნის საზომლობა", არითმეტიკა - „რიცხუნი", მუსიკა „-სამუსო") და კვადრიუმის (ფილოსოფია სამი სახის - „საქმითი, მხედველობითი და განმსიტყუელობითი", რიტორიკა სამი სახის - „თანამზრახველობისა", მეპაექრობისა» და დღესასწაულობისა", გრამატიკა და ასტრონომია - „ვარსკვლავთმრიცხველობა") ციკლის საგანთა შესწავლას ითვალისწინებდა".

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან

— ბატონო რონ, ამას წინათ ბ. ჯღარბენაძის საზოგადოების გამგეობის სახელით მოგმართეთ, როგორც რექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ რექტორთა საბჭოს სხდომაზე განგეხილათ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლებისა და, საერთოდ, ქართულ ენასთან დამოკიდებულების საკითხი. მიმართვა ჩვენი ჟურნალის წინა ნომერშიც გამოვაქვეყნეთ. რას გვეტყოდით ამ მიმართვის თაობაზე?

— პირდაპირ გეტყვით: მე პირადად მთლიანად გიჭერთ მხარს; როგორც თქვენ სვამთ საკითხს, ეს ასე უნდა იყოს. უფრო მეტიც, ქართულ ენას მე გვერდით დავუყენებდი საქართველოს ისტორიას (შეიძლება მისადმი გამოცდებზე - არა). ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, როცა მე გახლდით პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, სავალდებულოდ ყველა ფაკულტეტზე შემოვიღეთ საქართველოს ისტორიის სწავლება (მოგეხსენებათ, იქ არის სომხური, აზერბაიჯანული, რუსული ფაკულტეტები). შემდეგ კი ეს ყველა უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრდა. მე თქვენი მიმართვა მივიღე წერილობით (შემდეგ გამოქვეყნდა თქვენ მიერ დაარსებულ ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა") და დავეგზავნე ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის (სულ ახლა 24-ია) რექტორს, ჩემი თხოვნით, რომ განიხილონ აქ დასმული საკითხები და როცა შევიკრიბებით, ვიმსჯელოთ ამის თაობაზე. ეს სერიოზული საკითხია. თქვენ სავსებით სწორად აყენებთ საკითხს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი ნაშრომითა შეფასების თაობაზე. არის საგნები, რომლებიც ფასდება უფრო მაღალი ბალებით, ვიდრე ქართული; ქართულის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, თავიდანვე დაკნინებულია. მე არავითარ შემთხვევაში ამას მხარს არ დავუჭერ: ის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ეს ასე ხდება, გაეცნობიან ამ მიმართვას და შემდგომ ერთად ვიმსჯელებთ. ჩემი მხრივ მინდა გითხრათ, რომ თქვენს მიმართვას ექნება მაქსიმალური მხარდაჭერა.

— ბატონო რონ, XXI საუკუნის კარიბჭესთან ვდგავართ. ქრისტეს აქეთ პირველი ათასწლეული საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებითა და ქრისტიანული კულტურის განვითარებით დაიწყო; მეორე ათასწლეულის დასაწყისი ქვეყნის გამთლიანება-გაერთიანებისა, ყოველმხრივი აღმავლობისა და ძლიერების პერიოდია. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე რას გვიქადის მესამე ათასწლეული? როგორი იქნება თქვენი პროგნოზი?

— ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: გასული წლის დეკემბერში, ბარბარობა დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ მიიღო მიმართვა ყველა თანამემამულისადმი: მოუწოდა მათ, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის გამთლიანებაში და, რაც მთავარია, ახალ საუკუნეს შეეხვედრონ ჩვენთვის მნიშვნელოვან ძირითად საკითხებში თანამოაზრეებად. ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის გამოხმაურება და მხარდაჭერა ამ მიმართვისადმი. ჩემი პროგნოზით, XXI საუკუნე ჭეშმარიტად ნორმალური ცხოვრების პერიოდი უნდა იყოს. მახსოვს, მთელი ბოლო ორმოცდაათწლეული, ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული, სულ ველოდებით ხვალინდელ დღეს. ხვალ უკეთესი იქნება, ხვალ უკეთესი იქნება. ეს არ არის „დღევანდელი საწყალის" თეორიით გამოწვეული. აქ რაღაც სხვა არის: ადამიანს სჭირდება არა მხოლოდ მატერიალური, არა მხოლოდ „პური არსობისა", არამედ სულიერიც. განსაკუთრებით სულიერი საკითხების მოგვარება იყო საჭირო, თავისუფლების პრობლემა იდგა ძალიან მწვავედ. მე ვფიქრობ, რომ XXI საუკუნე იქნება ის პერიოდი, როდესაც მაქსიმალურად მოგვარდება ადამიანთა მატერიალური, სულიერი, მორალური პრობლემები. მორალურში ვგულისხმობ ეროვნული საწყისების ფართოდ გაშლას, ეროვნული გრძნობებისა და სულიერების დამკვიდრებას. და ეს პერიოდი იქნება XXI საუკუნე. იქნებ, გადაჭარბებული ოპტიმიზმია, მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ ეს ასე

— ღმერთმა გისმინოთ, ბატონო რონ. უღრმესი მადლობა.

ესაუბრა გიორგი გოგოლაშვილი

ჩვენი მკითხველის ყურადღებას კვლავ მივაპყრობთ ბენედიქტ რუშეს – საფრანგეთის სენატის წამყვანი სპეციალისტის – წერილს, რომელიც გაზეთ „კვირის ფოსტაში“ (№5, 1998 წელი) გამოქვეყნდა (ვბეჭდავთ შემოკლებით). ჩვენ, რა თქმა უნდა, ქართულის – როგორც სახელმწიფო ენის – პრობლემები გვაფიქრებს და ფრანგულის მაგალითსაც საამისოდ მოვიხმობთ. იქნებ იმასაც მიექცა ყურადღება, ვის სიტყვასაც საქმე მოჰყვება. სხვისა არა ვიცით და, ჩვენ კვლავ განვაგრძობთ საუბარს ამ თემაზე.

# პოლიტიკა ფრანგული ენის დაცვისა

ჩვენს წინა სტატიაში გადმოვეცით ძირითადი დებულებები ფრანგული ენის დასაცავად 1994 წელს მიღებული კანონისა. გავიხსენოთ, რომ საფრანგეთში ფრანგული ენის გამოყენებას სავალდებულო ხასიათი აქვს და რომ გარკვეულ სფეროებში აღნიშნული ვალდებულების შესრულება მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშაა მოქცეული. ეს სფეროებია: მომხმარებლის ინფორმირება, მოსამსახურის მფარველობა, სამეცნიერო ღონისძიებებისა და კოლოკვიუმების ორგანიზება, საზოგადოებრივი დანიშნულების სამსახურების საქმიანობა, განათლება, რადიო-ტელევიზია.

–განათლების სფეროსათვის კანონი ადგენს ძირითად პრინციპს, რომლის თანახმადაც ფრანგული ენა ცხადდება სწავლების, გამოცდებისა და კონკურსების, დისერტაციებისა და მოხსენებების ენად.

კანონი ხაზს უსვამს, რომ ფრანგული ენისათვის უპირატესი მდგომარეობის შექმნა განათლების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა, ისევე როგორც ორი სხვა ენის შესწავლაც კანონში. გარდა ფრანგული ენის კარგი ცოდნისა, გათვალისწინებულია პოლილინგვიზმისათვის (მრავალენოვნობისათვის) ხელის შეწყობა.

პარალელურად, უკვე მრავალი წელია, დიდი ყურადღება ექცევა რეგიონალური ენების განვითარებას (ბრეტონული, კატალონური, კორსიკული, ბასკური, ოქსიტანური, კრეოლური), ამ ენების შესწავლით დაინტერესებულ უმთავრეს რეგიონებში დაარსებულია ბილინგვური კლასები.

რადიო და ტელეარხების მესვეური ორგანიზაციებისა და სამსახურებისათვის ფრანგული ენის გამოყენება სავალდებულოა მთელ რიგ გადაცემებსა და სარეკლამო განცხადებებში. კანონი გამონაკლისს უშვებს ოთხი შემთხვევისათვის: ორიგინალის ენაზე მოწოდებული კინემატოგრაფიული თუ სხვა სახის აუდიო-ვიზუალური ნამუშევრისათვის, უცხო ენაზე დაწერილი ტექსტის მიხედვით შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებისათვის, უცხო ენაზე გასავრცელებლად ან უცხო ენის შესასწავლად გამიზნული პროგრამებისათვის, კულტურული ხასიათის ცერემონიების გადმოცემისათვის.

რადიოსადგურებს კანონი უდგენს კვოტებს ფრანგულენოვანი სიმღერების გადაცემებისათვის, ხოლო ტელეარხებს – კვოტებს ფრანკოფონური და ევროპული ნაწარმოებებისათვის. გარდა ამისა, კანონი სახელმწიფო და კერძო რადიოსადგურებისაგან მოითხოვს, მოსასმენად ოპტიმალურ საათებში გადაცემულ იქნას ფრანგულენოვანი სიმღერების სულ ცოტა 40 პროცენტი მაინც, რომელთა ნახევარი ან ახალი შექმნილი უნდა იყოს, ან უნდა შესრულდეს ახალი ტალანტების მიერ.

ამგვარადვე, სახელმწიფო და კერძო სატელევიზიო არხებსაც, 1990 წლიდან მოყოლებული, კანონი უწესებს შემდეგ კვოტებს: ევროპული ნაწარმოებებისათვის– 60%-ს, აქედან ფრანკოფონურისათვის– 40%-ს. ამ რეგლამენტაციის მიზანია ფრანგული და ევროპული მხატვრული პროდუქციის დაცვა უცხოური იმპორტის მოძალებისაგან.

კანონისა და მისი სხვადასხვა მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო თუ კერძო რადიოსა და ტელევიზიის ყველა ოპერატორი რადიო-ტელევიზიის უზენაესი საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ეს გახლავთ დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი კომპეტენციები და უნარი სანქციის გატარებისა. სახელმწიფოს მის გადაწყვეტილებებში ჩარევა არ შეუძლია.

ფრანგული ენის პოლიტიკა მხოლოდ კანონის სათანადო გამოყენებით როდი იფარგლება. მისი მნიშვნელოვანი ნაწილია მოქალაქეთა სენსიბილიზაცია (ყურადღების მიპყრობა-გამახვილება). თითოეულ ფრანგს უნდა დავანახოთ მრავალი წახნაგი ფრანგული ენისა: ის, რომ ფრანგული ენა წარმოადგენს პიროვნულსა და კოლექტიურ კაპიტალს, მისი როლი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მისი საერთაშორისო მნიშვნელობა – რათა ყველასათვის გასაგები გავხადოთ ფრანგული ენის სიცოცხლისა და პრესტიჟის მნიშვნელობა.

სენსიბილიზაციის ეს პოლიტიკა მრავალი ფორმით ხორციელდება. მაგ. ეწყობა ფრანგული ენის კვირეული (ეს ღონისძიება, იმავე დროს, ფრანგული შვეიცარიის, კვებეკისა და ბელგიის ფრანგულ თემებში ტარდება), ფრანკოფონიის მსოფლიო დღე, რომელიც ყოველწლიურად 20 მარტს აღინიშნება ორმოცდაათამდე ფრანკოფონურ სახელმწიფოში, ასევე ფრანგული ენის სიმდიდრის წარმოჩენას ემსახურება, კერძოდ, სიმღერების, თეატრის, კინოს, ზღაპრისა და თამაშობების მეშვეობით. ამას გარდა, ძალზე ბევრი ღონისძიება ეწყობა საფრანგეთშიც და საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით, სკოლებსა და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში. ხდება ხელშეწყობა სრულიად სხვადასხვაგვარი წამოწყებებისათვის: ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, დისკუსიებისთვის და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ფრანგული ენის დაცვის პოლიტიკისა – არის ზრუნვა მისი გამდიდრებისათვის.

ფრანგული ენის გამდიდრების ამჟამინდელ სისტემაში სახელმწიფოს როლი შედარებით შეზღუდულია. სახელმწიფოს ინიციატივითა და ხელშეწყობით მუშავდება და შემდგომ ინერგება ახალი ტერმინოლოგია, მაგრამ იგი არ ერევა ახალი გამოთქმებისა და ტერმინების შერჩევაში. ეს დამოუკიდებელი კომისიის პრეროგატივაა, რომელიც კოორდინაციას უწევს რამდენიმე სპეციალიზებულ ტერმინოლოგიურ კომისიას, გენერალურ კომისიაში, გარდა ფრანგული ენის აღიარებული სპეციალისტებისა, შედიან აგრეთვე სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებიც (იურისტები, ეკონომისტები, მეცნიერები და სხვა) და იგი თვალყურს ადევნებს, რათა სპეციალი-

ზებული კომისიების მიერ შესრულებული სამუშაოები ურთიერთშეთანხმებული და დროული იყოს. კომისია მხედველობაში იღებს აგრეთვე საფრანგეთის აკადემიის აზრს შემოთავაზებული ახალი ტერმინების შესახებ. საბოლოოდ, მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის აკადემიის მიერ მოწონებული ტერმინები ქვეყნდება „საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში" („ჟურნალ ოფისიელი"). შემდგომ კი უფრო ფართოდ ვრცელდება ინტერნეტის ქსელით.

ამრიგად, ნაციონალური ენის დაცვისა და განვითარების პოლიტიკა მრავალმხრივი პოლიტიკაა, რომლის თითოეული ელემენტი უაღრესად მნიშვნელოვანია. და მართლაც, ქვეყნისათვის ენა წარმოადგენს საზოგადოების შემაკავშირებელ ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს. იგი არის ასევე ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის საგარეო გავლენისა, მაგ. ლიტერატურისა და კინოს გზით. ასე რომ, კანონის მიღება, აგრეთვე შემუშავება იმ მექანიზმებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მის განვითარებასა და გამდიდრებას- ისეთი მნიშვნელობის რამაა, რომლის სარგებლიანობის სათანადოდ არდაფასების უფლება არა გვაქვს.

ამ თვალსაზრისით აღნიშნას იმსახურებს ასოციაციების საქმიანობა. დღესდღეობით, ფრანგული ენის დაცვითა და ფრანკოფონიის განვითარებით დაინტერესებული ორასამდე ასოციაცია არსებობს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ქმნიან ერთიან ქსელს. ეს ასოციაციები იღვწიან ინფორმაციის გასავრცელებლად, ფხიზლად უჭირავთ თვალი კანონის შესრულებაზე, ატარებენ როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ასევე პროფესიონალთათვის განკუთვნილ სენსიბილიზაციის აქციებს. მათ სავსებით რეალური ძალაუფლება აქვთ: აღიარებულ ასოციაციებს, კანონის თანახმად, უფლება აქვთ სარჩელი აღძრან სასამართლოში, როდესაც სადაო საკითხი მომხმარებლის ინფორმირებას, საფრანგეთში ორგანიზებულ ინტერნაციონალურ კოლოკვიუმებს, საზოგადოებრივი დანიშნულების სამსახურების მიერ საფრანგეთში გავრცელებულ პუბლიკაციებსა თუ მოსამსახურეთათვის სამსახურის შეთავაზებას შეეხება.



შესრულდა 150 წელი დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან. გთავაზობთ ფრაგმენტებს ბესარიონ ჯორბენაძის ვრცელი გამოკვლევიდან.

# ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი სამყარო

### (ფრაგმენტები)

XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ ლიტერატურას ამშვენებს ალექსანდრე ყაზბეგის ღრმა ფსიქოლოგიზმითა და განუმეორებელი ხატოვანებით აღბეჭდილი შემოქმედება. მძაფრი დრამატიზმი და უფაქიზესი ლირიზმი, ფართო, ეპოქალური მოვლენები და ადამიანის სულის იდუმალი მოძრაობანი ერთნაირი რეალისტურობითა და სიძლიერითაა წარმოსახული მის პროზაში.

მძიმე, წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების გზა განვლო ალექსანდრე ყაზბეგმა, სულიერი აღზევება და სრული დაცემა ერთმანეთს ენაცვლებოდა. მაგრამ ის, რაც მან სულ რამდენიმე წლის მანძილზე შექმნა, სამუდამოდ დარჩება როგორც განმაცვიფრებელი გაელვება ღვთიურობით აღბეჭდილი ნიჭისა, როგორც გამოვლენა ადამიანის უზენაეს მისწრაფებათა თანამდევი ტკივილისა, სიტყვაში უკვდავყოფილი ულამაზესი წამი სულიერი ამაღლებისა, გათავისუფლება მიწიერი ბორკილებისაგან.

ალექსანდრე ყაზბეგს, სხვა დიდ მწერალთაგან განსხვავებით, რაიმე მკვეთრად გამოხატული ენობრივი თეორია არ ჩამოუყალიბებია. მისი დამოკიდებულება ენისადმი უპირატესად ინტუიციური იყო, მაგრამ უტყუარი შინაგანი ალღო განაპირობებდა იმ საოცრად ტევად და ემოციურ ფრაზას, რაც ეგზომ არის ნიშანდობლივი მისი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის.

ალექსანდრე ყაზბეგს სიცოცხლეშიც და შემდგომაც ბევრი კრიტიკოსი და მკვლევარი უსაყვედურებდა ენობრივ უზუსტობებს.

გრიგოლ ორბელიანი, რომელიც აღტაცებული იყო ყაზბეგის „ელგუჯათი", ასე მიმართავდა მწერალს: „გიხაროდეს, შენ ხარ პირველი მწერალი, დრამატიკი საქართველოში, აკლია მხოლოდ ზოგიერთი მართლწერა შენს მშვენიერს ქართულს ენას. ნუ დაიზარებ, შეისწავლე ესეცა, რომელიც სრულიად არ არის ძნელი".

ილია ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონია სტატია დაეწერა „მამის მკვლელზე". მოღწეულია კონსპექტი ამ სტატიისა, სადაც ბევრ დებულებასთან ერთად შენიშნულია „ენის უხეირობაც" (და იქვე რამდენიმე გვერდია მითითებული მაგალითების დაუსახელებლად).

ალექსანდრე ყაზბეგის „დაუხვეწავ სტილზე" სხვებიც მიუთითებდნენ და თუკი ცალკეული ფრაზების სტრუქტურულ ანალიზს გამოვიყენებთ, ეს საყვედური სამართლიანიც მოგვეჩვენება, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მწერალი მოწოდებულია არა სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად, არამედ იგი ენის საშუალებით ქმნის მხატვრულ სამყაროს, რეალურის ფარდ მხატვრულ სინამდვილეს და თუკი ეს მიღწეულია, მაშინ მის მისაღწევად მოხმობილი ხერხიც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

* * *

ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი სამყარო სავსებით თავისებურია და, ამიტომაც, განუმეორებელი. მისთვის „დამახასიათებელი თქმის ლაპიდარული მანერა და რამდენადმე ნერვიული სტილი სავსებით შეესაბამება იმ შინაგან დინამიზმსა და ექსპრესიას, რომლებითაც გამოირჩევა მისი მხატვრული პროზა" (შ. ძიძიგური).

სტილი არის ინდივიდუალური მსოფლაღქმა, გამოხატული შესაბამისი ენობრივი ფორმით. ამიტომაც ყოველი მწერლის სტილი, უპირველეს ყოვლისა, მისეული ხედვა, მისეული აღქმაა სამყაროსი.

თუკი რომელიმე მწერლის მიმართ ითქმის ეს, ერთ-ერთი პირველთაგანი მათ შორის უთუოდ ალექსანდრე ყაზბეგია. იგი იმ სტიქიაში აღიზარდა, რომლის წარმოსახვაც დაედო საფუძვლად მის შემოქმედებას.

ალექსანდრე ყაზბეგი ნებაყოფლობით ეზიარა მეცხვარის მარტივ, მაგრამ შინაგანი დრამატიზმით დამუხტულ ცხოვრებას, უბრალო ხალხის ენობრივ სამყაროს, სადასა და ზუსტს, ტევადსა და ხატოვანს. ყველაფერი ეს მან ქართული ლიტერატურის კუთვნილებად აქცია. იმავდროულად ალექსანდრე ყაზბეგი არასდროს „ღალატობს ზომიერების გრძნობას და არ აძლიერებს თხრობას დაუსრულებელი დიალექტიზმებით" (ი. ქავთარაძე).



ისევ და ისევ ჭეშმარიტი შემოქმედის ინტუიცია, შინაგანი ალღო ზუსტ კვალზე აყენებს მას და ენა იქცევა პერსონაჟის რელიეფური ხატვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, „ადვილად და ნათლად ხერხდება ზღვარის დადება ავტორის ენასა და პერსონაჟების მეტყველებას შორის" (ი. ქავთარაძე).

ენა მისი მფლობელის არა მხოლოდ ეროვნულ ვინაობას გამოხატავს, არამედ მისი საზოგადოებრივი ყოფა-მოქმედების უმთავრესი გამომხატველიცაა. ამიტომ მიაჩნიათ შესაძლებლად ასეთი განმარტება მისცენ ენას: „ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა" (უ. ლაბოვი), რაც იმას გულისხმობს, რომ ენა შეგვაძლებინებს გავიგოთ ადამიანთა ქცევა და ამის საშუალებით ამოვიცნობინებს მათ სულიერ სამყაროს.

ეს არის თეორიული განსაზღვრა იმისა, რასაც მწერლები პრაქტიკულად ყოველთვის გრძნობდნენ და ხშირადაც მიმართავდნენ.

* * *

ენა უშუალო გამომხატველია აზრებისა და განცდებისა.

ამიტომაც ნებისმიერი მწერლის მხატვრული ენა იმთავითვე შეპირობებულია იმ სამყაროთი, რომელიც ასახვის საგანს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით სრულიად თავისებურია ქართულ ლიტერატურაში ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული სამყარო, არა იმდენად თავისი ეთნოგრაფიული სპეციფიკურობის, რამდენადაც თვით პერსონაჟთა უკიდურესად გამძაფრებული სულიერი ტკივილების გამო. ყველა პერსონაჟი, რომელიც თვით ალექსანდრე ყაზბეგის იდეალს წარმოსახავს, ბრძოლის ჟინითაა ატანილი, ბედისწერასთანაა გაჯიბრებული, შეპყრობილია დაუოკებელი და აუსრულებელი ძიებით, დამორჩილებული მასზე უფრო ძლიერ სურვილებს.

ამ დაუდეგარი მისწრაფებებით ისინი თ. დოსტოევსკის პერსონაჟებს მოგვაგონებენ და იმავდროულად მათზე ტრაგიკულნი არიან, რადგან ბოლომდე ვერც თავისი სურვილები გაუცნობიერებიათ და ვერც სულიერი სიმშვიდე მოუპოვებიათ, თვით მიზნის ასრულების შემდეგაც კი.

სიმშვიდეს მხოლოდ სიკვდილში პოვებენ ისინი.

ყოველი ასეთი პერსონაჟი თვით მწერლის ორეულია – ძიებით, სწრაფვით, დაუკმაყოფილებლობით აღგზნებული და ცხოვრებისაგან გარიყული, მუდამ ხალხთან მყოფი და მაინც განმარტოებული, განდეგილი, თავის სურვილებთან შერკინებული, თავისი მეობის მაძიებელი, სულიერი ზეობის მომლოდინე, ულამაზესი ხილვებით შეპყრობილი.

ისინი ყველაფერს შმაგ, ზვავივით მოვარდნილ სიყვარულის თავდავიწყებაში აზმობენ. ეს ქცეულა მათ გაცნობიერებულ მიზნად. ის კი, ღრმად შინაგანი, გაუცნობიერებელი მიზანი მშვენიერებისაკენ სწრაფვაა, მათი ტრაგიკული ბედნიერების მიზეზი.

ყველა მათგანი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ სატრფოსთან შეყრა არაა და არც შეიძლება იყოს მათი საბოლოო მიზანი, მაგრამ იმ მთავრისათვის, საბოლოოსათვის ვერ მიუგნიათ, სახელიც ვერ უპოვიათ მისი.

* * *

ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟები ბუნების შვილები არიან, უფრო გრძნობასმიმყოლნი, ვინემ გონებით განმსჯელნი. ამიტომაც არიან ასე უშუალონი. მათ რომ ელემენტარული განათლება ჰქონოდათ, რომ შეძლებოდათ თავისივე მისწრაფებების გაცნობიერება, მაშინ ადამიანთა უწმინდეს მისწრაფებათა ფილოსოფია მათი აზროვნებით გამოვლინდებოდა.

ახლა კი ყველაფერი ეს მხოლოდ მათი მოქმედებით ცნაურდება.

ერთი რამ დარჩენიათ მათ – მშვენიერებისაკენ სწრაფვა. სატრფოდ ნაგულვებ ქალში პოვნილი მშვენიერებისაკენ სწრაფვა, მაგრამ ეს სწრაფვაც და ეს სიყვარულიც იმთავითვე განწირულია.

ტრაგედიად იქცევა სიყვარული არა იმდენად ავხორცი დიამბეგების, უნიჭო სალდაფონებისა და ზნედაცემული კაცუნების წინააღმდეგობის გამო (ეს გარეგნული დაბრკოლებაა მხოლოდ!), რამდენადაც თავიდანვე შინაგანად განწირული მისწრაფებების გამო.

დიამბეგები, იასაულები, ჯარისკაცები, პირიქით, ბრძოლის ჟინს აცხოველებენ, რეალური დაბრკოლების დაძლევის სურვილს ქმნიან და ამის გამოა, რომ ერთი-ორად შორს გადაიწევს ხოლმე საბოლოო იმედგაცრუების წამი.

აი, ეს საბოლოო, დაუნდობელი იმედგაცრუება გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია იქნებოდა ყაზბეგის გმირებისათვის.

ისინი რწმენით კვდებიან.

და აი, ეს არის მათი პარადოქსული ბედნიერება, რადგან სხვა მხრივ მათ იმედგაცრუებული, არაფრის მსურველი და არც რის მომლოდინე ცხოვრება ელოდათ.

მიუწვდომელი ძიებით ეს გაშმაგება განსაზღვრავს ყაზბეგის გმირების სულიერ სამყაროს, მათ მოქმედებას. ამითაა შეპირობებული მათი განუმეორებლობა. აქედან – მათი ყაზბეგისეული ასახვაც აღგზნებული, თავდავიწყებამდე მისული განცდა ყველაფრისა.

* * *

სიყვარული – ბედისწერა.

სიყვარული – თავდავიწყება.

სიყვარული – თავგანწირვა.

აი, რა განაგებს ყაზბეგის გმირთა სულსა და გონებას

საიდუმლო ბევრი აქვთ, მაგრამ იმდენად დიდია გრძნობა, რომ სიტყვა ვერ უპოვიათ. სიტყვა ხელს უშლით გამოხატონ თავისი გრძნობები.



გაშიშვლებული ნერვი ყველაფერს მტკივნეულად განიცდის.

ელგუჯა, ონისე, მათია, იაგო, მაყვალა, ძიძია, ნუნუ ერთი პრინციპით მოქმედებენ: ისინი იწვევენ, ესწრაფვიან ტკივილს, რომ უფრო ღრმად განიცადონ, უფრო ღრმად შეიგრძნონ საწადელი მათ ტანჯვა სწყურიათ, რათა შეიცნონ თავისი თავი და ასე შეაღწიონ აღმგზნებ ხილვებად მოლანდებულ სამყაროში.

წინააღმდეგობრივი სურვილები სწეწავენ მათ სულს.

მაყვალამ თავიდან მოიშორა ონისე, შეინახა ქმრისადმი ერთგულება. თითქოს უნდა გახარებოდა კიდეც, თუკი ონისე სამუდამოდ დაივიწყებდა მას, თავს დაანებებდა, მაგრამ როგორც კი შემთხვევით გზად ნანახი მწყემსისგან გაიგო, რომ ონისე კარგ გუნებაზე იყო და „ლხინობდა", „გაფითრდა და ერთბაშად გახუმდა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო". გააგდო, თავიდან მოიცილა, უარი უთხრა ყოველგვარ თანაგრძნობაზე და ვერც მის სიშორეს შეეგუება, სატანჯველადაც ებრალება („ბიჭაუ! ღვთის მადლმა, სატანჯავადაც მებრალები... მებრალები ისე, რომ თავის სიკვდილით შენი დახსნა რომ შემეძლოს – მოვკვდები..."), მაგრამ არც ლხინისთვის ემეტება, რადგან ის, რომ იგი სხვას უნდა ერთგულებდეს („ქმრიანი ვარ და თქმს ყბად ვერ ავიდებინები"), რომ ბედისწერამ ასე არგუნა, მხოლოდ სიტყვებია, გულისგარეთ ამოთქმული, შინაგანად კი სიყვარულით ტანჯვას ნატრობს. მხოლოდ წამებულ სიყვარულშია სიტკბო, შხამნარევი და იქნებ სწორედ ამის გამო უფრო ღრმად შეგრძნობადი სიტკბო.

ხორციელი ტანჯვა ის კათარზისია, რომელიც უფრო მძაფრ სულიერ მისწრაფებებს ბადებს.

ალექსანდრე ყაზბეგი არსებითად წერს მელოდრამებს, მაგრამ გამოსდის ადამიანის სულიერ მისწრაფებათა ტრაგედიები.

თითქმის ყველა ნაწარმოების სტრუქტურული სქემა ერთი და იგივეა, მაგრამ რაოდენ განსხვავებული განცდაა, მისწრაფებათა ნიუანსებით, გრძნობათა ნაირგვარი გამოვლინებით, ხასიათების განუმეორებლობით.

ელგუჯა („ელგუჯა") და იაგო („მამის მკვლელი"), მათია („ელგუჯა") და ონისე („ხევისბერი გოჩა"), ხევისბერი გოჩა („ხევისბერი გოჩა") და ონიფრე („მოძღვარი"), ძიძია („ხევისბერი გოჩა") და მაყვალა („მოძღვარი") ერთმანეთის ორეულებია, ერთი ჩანაფიქრის ხორცშესხმაა და იმავდროულად მძაფრად ინდივიდუალური, განუმეორებელი სულიერი სამყაროთი აღბეჭდილი, თავისთავადი პიროვნებანი.

ლიტერატურაში ეს არცთუ ისე უჩვეულო ფაქტია: თ. დოსტოევსკი წერდა დეტექტურ რომანებს, მაგრამ შედეგად ფილოსოფიურ ტრაგედიებს ღებულობდა.

* * *

ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერებში იშვიათად შეგვხვდება რაფინირებული ფრაზა, სკრუპულოზურად დამუშავებული გამოთქმები, საგანგებოდ დახვეწილი კონსტრუქციები.

ეს ბუნებრივიცაა: ნაწარმოების სულისკვეთება განაპირობებს იმ ბობოქარ, მძაფრ, ამღვრეულ ენობრივ ნაკადს, რითაც ცნაურდება სულიერი მარტოობისათვის განწირულ ადამიანთა განცდები და მოქმედებანი.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ენობრივ სტიქიას აქ არავითარი კალაპოტი არა აქვს, რომ ყველაფერი თვითდინებაზეა მიშვებული.

ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული სამყაროს შესაქმნელად ენას ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება და მკაცრი კანონზომიერება აქ უთუოდ გვაქვს.

(გაგრძელება იქნება)



თუ კავკასია „ენათა მთა“ არის, მაშინ საქართველო ლინგვისტთა ერი უნდა იყოს. იშვიათია, რომ ასეთმა მცირე ერმა ამდენი შესანიშნავი ლინგვისტი მოგვცეს. მათ შორის აკაკი შანიძის სახელი პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ. არავის გაუკეთებია ამდენი ქართული გრამატიკის სირთულეთა სისტემატიზაციისათვის... იგი მართლაც ეროვნული გმირია თავის მშობლიურ საქართველოში და მეცნიერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივცემული საბჭოთა კავშირში...

ჰოვარდ არონსონი, ჩიკაგო, 20.VI.1986.

აკაკი შანიძე იერუსალიმის ჯვრის ეკლესიაში

# სიცოცხლე წიგნისათვის...

ცნობილ ქართველ მეცნიერს – ფილოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს, კოდიკოლოგს, ტექსტოლოგსა და პალეოგრაფს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდა. მისი უზარმაზარი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ღვაწლის შესახებ მრავალი დაწერილა და კვლავაც დაიწერება. ამ ღვაწლის წარმოსაჩენად, ალბათ, იმის აღნიშვნაც კი საკმარისი იქნება, რომ თუ დღეს ქართული ფილოლოგიური სკოლა ცნობილია საზღვარგარეთის ბიზანტინისტთა და ორიენტალისტთა წრეებში, ეს ჩვენს ძველ ღვაწლმოსილ მეცნიერებთან, კ. კეკელიძესთან, ა. შანიძესთან, ილ. აბულაძესთან ერთად ქალბატონ ელენეს უდიდესი დამსახურებაა.

ქ-ნ ელენეს ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში წლების მანძილზე ფართოდ იყო გაშლილი მრავალმხრივი სამეცნიერო მუშაობა: კოდიკოლოგიური სამუშაოები – საქართველოსა თუ უცხოეთის წიგნსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების მეცნიერული შესწავლა და აღწერა, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიებანი – ძვ. ქართული მწერლობისა და ბიზანტიური ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლების შესწავლა და გამოსაცემად მომზადება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ-ნ ელენეს მიერ დაარსებული აკადემიური სერია „ძველი ქართული მწერლობის ძეგლები", რომელიც ქრისტიანული მწერლობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს. ვინც კი იცის, თუ რა რთულია უშუალოდ ხელნაწერი წყაროების კვლევა და დამუშავება, მისთვის გასაგები იქნება, თუ რა ტვირთი აზიდა ხელნაწერთა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მანძილზე ჯერ ი. აბულაძის, ხოლო შემდგომ ქ-ნ ელენეს ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ კოდიკოლოგიური სამუშაოს შესრულების შედეგად გაჩნდა ძველი ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხების ხელახალი გააზრების და ახლებურად შეფასების შესაძლებლობა, მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა სამომავლო თეორიულ კვლევა-ძიებებს.



გრ. ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანის შემსწავლელი ჯგუფი

თავად ქ-ნი ელენე თავისი პიროვნული სიმტკიცით, ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელი შეუპოვარი ენერგიითა და სიყვარულით იკვლევს ქართული სასულიერო თუ საერო მწერლობის მნიშვნელოვან ძეგლებს. მის ნაშრომებში ქართველოლოგიური საკითხები ყოველთვის დანახული და განხილულია ფართო თვალსაწიერის ორიენტალისტისა და ბიზანტინისტის თვალით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ქართული თუ საზღვარგარეთული (ათონის, სირია-პალესტინის) სამწიგნობრო კერების ისტორიისა და კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის კვლევის საქმეში. აგრეთვე მისი უდიდესი ღვაწლი შუასაუკუნეების მწერლობის ისეთი რთული დარგის შესწავლაში, როგორიც ჰიმნოგრაფიაა. ქ-ნ ელენეს უმნიშვნელოვანესმა გამოკვლევებმა ამ სფეროში, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით მომზადებულმა ნაშრომებმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაუყარეს ბიზანტიურ-ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევის სკოლას საქართველოში. როგორც ცნობილია, ამ სკოლაში შემუშავებული აზრები აღიარებული და მეტად კომპეტენტურადაა მიჩნეული ამ დარგის უცხოელ მკვლევართა მიერ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ქ-ნ ელენეს დამსახურება უცხოეთის სამეცნიერო წრეების ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ 1980 წლიდან განახლდა ხელნაწერთა ინსტიტუტის ურთიერთობა ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც ადრე ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელმძღვანელებს, ილია აბულაძესა და ქ-ნ ელენეს ლუვენის კათოლიკური ინსტიტუტის პროფესორთან, ჟერარ გარიტთან პირადად ჰქონდათ. ქ-ნ ელენეს ავტორიტეტისა და ქართული ფილოლოგიური სკოლის წარმატებათა გამო ჟ. გარითმა ხელნაწერთა ინსტიტუტს შესთავაზა ბიზანტიელი ავტორის, გრიგოლ ნაზიანზელის, თხზულებათა ქართული თარგმანების გამოსაცემად მომზადება საერთაშორისო პროგრამით, რომელსაც ლუვენის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი უხელმძღვანელებდა. ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მეცნიერები მონაწილეობას იღებენ ასეთი მასშტაბის საერთაშორისო სამუშაოში. სულ ცოტა ხანში ბელგიაში გამოიცემა ამ უზარმაზარი ნაშრომის პირველი ტომი ქ-ნ ელენე მეტრეველის რედაქციით. აღსანიშნავია, რომ თუ ამ პუბლიკაციაში წარმოჩნდება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფილოლოგიური სკოლის მაღალი დონე, რისი დიდი იმედიც გვაქვს, ეს ქ-ნ ელენეს მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის შემუშავებული კვლევის მეთოდოლოგიის შედეგი იქნება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ქ-ნ ელენეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ახალგაზრდებისადმი. დაინტერესების მიზნით იგი თავიდანვე რთავს ხოლმე მათ მნიშვნელოვანი თემების დამუშავებაში და თავისი კონსულტაციებით ბიძგს აძლევს ახალგაზრდებს, რათა მათ ფართო თვალსაწიერით იკვლიონ ქართველოლოგიის საკითხები. ხელს უწყობს მათ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში გაგზავნას კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ქ-მა ელენემ უტყუარი ალღოთი იცის საკვლევ მასალაში მთავარის, ძირითადის დანახვა და ამავე ალღოთი თავისი მოწაფეებისათვის კვლევის გზის მიცემა. მისი საუბრები, რომლის დროსაც იგი სრულიად უშურველად უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას თავის კოლეგებსა და მოწაფეებს, მუდამ გადამდები ენთუზიაზმითაა ხოლმე გამსჭვალული და დიდი სტიმულის მიმცემია. ხოლო მისი შეფასება და აზრი ახალ სამეცნიერო ნაშრომზე ყოველთვის საინტერესო და მეტად საგულისხმოა თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ქ-ნ ელენეს მთლიანი და ძლიერი პიროვნება ერთმანეთში თავსებს მაღალ აკადემიურობას, პრინციპულობას, სიმკაცრეს, მომთხოვნელობას, და ამავე დროს გულისხმიერებას, თანადგომას, რაც არაერთგზის უგრძვნიათ მის მოწაფეებს. ჩვენი აზრით, ქ-ნ ელენეს დიდი ბედნიერება ხვდა წილად – „წიგნისათვის სიცოცხლე". დღეგრძელობას და გაუტეხელობას უსურვებთ ქ-ნ ელენეს, რათა საქმისადმი ერთგულების პირადი მაგალითით, მეცნიერული სიმაღლით კვლავაც შეძლოს ახალი თაობის გაძღოლა ქართული მწერლობის მრავალი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, საკითხის გამოსაკვლევად.

ქეთევან ბეზარაშვილი
თამარ ოთხმეზური

**1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე წმინდანად იქნა შერაცხილი ღვაწლმოსილი საეკლესიო მოღვაწე ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვაცნობს პროფესორ დამანა მელიქიშვილის მიერ მომზადებული მასალა.**

# ღირსი მამა – ეპისკოპოსი ალექსანდრე

ეპისკოპოსი ალექსანდრე (ერისკაცობაში ალექსი ოქროპირიძე) დაიბადა 1824 წელს ვერის მაზრის სოფელ დისევში, სოფლის მღვდლის, დავით ოქროპირიძის ოჯახში. ბავშვობიდანვე ოჯახში ეკლესიურ ცხოვრებას ნაზიარებმა ალექსანდრემ შეიტკბო ქრისტიანული სარწმუნოება და თავისი ცხოვრების მიზნად ღვთის სამსახური დაისახა. თბილისის სემინარიის კურსის დამთავრებისთანავე 1845 წელს, აღიკვეცა ბერად. შემდეგ სწავლას აგრძელებს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც ღრმად ეუფლება სასულიერო და საერო მეცნიერებებს.



ალექსანდრე ოქროპირიძე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, მუდამ მზად იყო სიცოცხლის საფრთხის წინაშეც ქრისტესმიერი სიყვარულით გვერდში დასდგომოდა და დახმარებოდა გაჭირვებულ მოყვასს. ამის მაგალითები მის ბიოგრაფიაში მრავლად მოიპოვება. მას საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოუხდა მოღვაწეობა: ქართლში, იმერეთში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში-ჯერ მასწავლებლად, შემდეგ იღუმენად, არქიმანდრიტად და ბოლოს მღვდელმთავრად.

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე თავის უმთავრეს საქმედ ირგვლივ მყოფთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას მიიჩნევდა. აფხაზეთში ჩასვლისთანავე დიდი გულმოდგინება გამოიჩინა აფხაზთათვის ილორში დაარსებულ სასწავლებელთა წარმატებული მუშაობისათვის. მისი მოღვაწეობა, ჯერ როგორც პედაგოგისა, შემდეგ კი არქიმანდრიტისა (1856 წლიდან) და ეპისკოპოსისა (1862 წლიდან), როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე სრულიად საქართველომ დამსახურებისამებრ დააფასა და ყოველგვარი გადამეტების გარეშე, მას აფხაზეთის მეორე მოციქული უწოდა.

ალექსანდრე ეპისკოპოსის სამღვდელმთავრო მოღვაწეობა ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა: საქართველო ყოვნა-არყოფნის პირას იყო მისული; საქართველოში ქართული წირვა-ლოცვა აღარ აღევლინებოდა, რის გამოც ქართველობას ეკლესიისათვის ზურგი ჰქონდა შექცეული. სკოლებში ქართულ ენაზე აღარ ისწავლებოდა საგნები. საჭირო იყო ჭეშმარიტ რწმენაზე დავფუძნებული ეროვნული მეცნიერების, სწავლა-აღზრდისა და განათლების განვითარება. ყოველივე ამას მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე. ეკლესია-მონასტრების აღდგენა-აღმშენებლობითი საქმიანობა მან აფხაზეთიდანვე დაიწყო: სოხუმში თავისი ღვაწლითა და სახსრით აღადგინა ორი ეკლესია. ქართლ-კახეთსა და შემდეგ გურია-სამეგრელოში მოღვაწეობისას განაახლა და აღაშენა დიდებული შიო-მღვიმის, ზედაზნის, დავით გარეჯის მონასტრები. დიდძალი თანხა გაიღო შემოქმედის მონასტრის აღდგენისათვის, აღადგინა და განაახლა ჯვრის ეკლესია. მცხეთის ათორმეტ მოციქულთა სახელობის დიდი ტაძარი, თავისი სოფლის, დისევის ეკლესია, ეკლესიები გურია-სამეგრელოში, აჭარასა და იმერეთში.. გაიღო თანხები პირველი ქრისტიანი მეფის – წმ. მირიანის ძეგლის ასაგებად მცხეთაში და სხვ.

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს მამაშვილური სიყვარულით გამთბარი დამოკიდებულება ჰქონდა ადამიანებისადმი. არ ახასიათებდა ჭარბსიტყვაობა. საოცრად ლაკონური და მრავლის დამტევია მისი ქადაგებები. იგი არ უფრთხოდა დიდი რანგის არც სასულიერო, არც საერო პირთა მხილებას.

დიდებული მღვდელმთავარი მთელი ცხოვრების მანძილზე თავგამოდებული დამცველი იყო ქართული ენისა. მან ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად.

იგი ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ დარჩენილა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში. მხცოვანი ეპისკოპოსი ეგზარხოსის განკარგულებით „საკუთარი თხოვნის საფუძველზე განთავისუფლებული იქნა ეპარქიის ხელმძღვანელობიდან და „მოსასვენებლად" თავისსავე აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერში გაიგზავნა, „სადაც სიცოცხლის ბოლომდე კეთილად აღასრულებდა თავის უპირველეს მოვალეობას – უფლისადმი უსისხლო მსხვერპლშეწირვას". ერთადერთხელ ჩამოვიდა იქიდან ილიას დასაფლავების დღეს და თვითონაც იმავე 1907 წლის ნოემბერში გარდაიცვალა შიო-მღვიმის სავანეში, 83 წლის ასაკში. დაკრძალულია იქვე, თავისსავე აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერში.

# ქართული ენა

## ნაცვალსახელი

მეტყველების ნაწილთაგან სამი სახელი ჩვენ უკვე შესწავლილი გვაქვს. ესენია: არსებითი, რომელიც აღნიშნავს საგანს (მთა, კაცი, სიკეთე...), ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშანს ან თვისებას ასახელებს (მაღალი მთა, ჭკვიანი კაცი, უსაზღვრო სიკეთე...) და რიცხვითი, რომელიც საგნის რაოდენობაზე, რიგზე ან ნაწილზე (მთელთან შედარებით) მიუთითებს (ცხრა მთა, პირველი კაცი, მეათედი სიკეთე...). გავეცნოთ ნაცვალსახელს, რომელიც ერთგვარ მაგივრობას ანუ ნაცვლობას ეწევა აღნიშნული სახელებისას: რამდენიმე მთა, რომელიღაც კაცი, იმდენი სიკეთე...

მაშასადამე, ნაცვალსახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც ეკვივალენტია (ტოლფასია, თანაბარღირებულია) რომელიმე სახელისა და ამიტომ გარკვეულ შემთხვევებში იხმარება არსებითის, ზედსართავის ან რიცხვითი სახელის ნაცვლად (დაუკვირდით სახელწოდებას: ნაცვალ(ი) სახელი(სა)). ამ ნიშნით აქვს შერქმეული სახელი მას სხვა ენებშიც (შდრ.: ლათინური Pronomen, ინგლისური Pronoun, რუსული **местоимение** და ა.შ.).

იმის გამო, რომ ნაცვალსახელი მონაცვლე სახელის ტოლფასია, ცხადია, კითხვის დასმით მას ვერ ამოვიცნობთ. ნაცვალსახელი იმავე კითხვებზე მოუგებს, რა კითხვაც დაესმის იმ სიტყვას, რომელსაც იგი ენაცვლება: კაცი ბჭობდა – ის ბჭობდა (ვინ ბჭობდა?), მშვენიერი თავბული მაარიკა – იმისთანა თავბული მაარიკა (როგორი თავბული მაარიკა?), უამრავი ხალხი შეიკრიბა – იმდენი ხალხი შეიკრიბა (რამდენი ხალხი შეიკრიბა?) და ა.შ. ამიტომ უნდა ვიცოდეთ ყველა ნაცვალსახელი, მათი რიცხვი არცთუ ისე დიდია.



### ნაცვალსახელთა ჯგუფები

შინაარსის გათვალისწინებით ნაცვალსახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

**1. პირის ნაცვალსახელები:** მე, შენ, ის (იგი), ჩვენ, თქვენ, ისინი (იგინი), თავი.

მე და ჩვენ I პირის ნაცვალსახელებია. შენ და თქვენ – II პირისა, ხოლო ის (იგი), ისინი (იგინი) III პირისაა.

**მე**-ს უწოდებს ადამიანი თავის თავს, **შენ** სიტყვით მოლაპარაკე იმ პირს აღნიშნავს, რომელსაც საუბრისას მიმართავს, **ის (იგი)** კი ის პირია, რომელიც არც „მე" არის და არც „შენ", სხვაა. **ჩვენ** სიტყვაში ვგულისხმობთ ჩვენს თავსაც (მე-ს) და სხვასაც (ან სხვებსაც). ამის გათვალისწინებით **ჩვენ**-ს შეიძლება ორნაირი გაგება ჰქონდეს:

ა) **ჩვენ** გულისხმობს I პირსა და იმ პირს (ან პირებს), რომელსაც (რომელთაც) ესაუბრება, ანუ – მეორეს (ე.ი. **ჩვენ** – I+II პირი). ამას უწოდებენ ინკლუზიურ **ჩვენ**-ს.

ბ) **ჩვენ** სიტყვით მოლაპარაკე აღნიშნავს თავის თავსა და სხვას (ან სხვებს) იმის ან იმათი გამოკლებით, ვისაც ესაუბრება. ამ შემთხვევაში **ჩვენ** მნიშვნელობით იგივეა, რაც **მე** და **ის**, ან – **მე** და **ისინი** (ე.ი. **ჩვენ**=I+III პირი). ამას უწოდებენ ექსკლუზიურ **ჩვენ**-ს.

ქართულში **ჩვენ** ნაცვალსახელის ზმნასთან შეხამებისათვის არა აქვს მნიშვნელობა, იგი ინკლუზიურია თუ ექსკლუზიური, მაგრამ ქართველური ენებიდან სვანური მკაცრად განარჩევს მას. მაგალითად:

**მხ. რიცხვი**

ხ̂უ-ათ̂ური „ვასწავლი"

მ-ათ̂ური „მასწავლის"

მრავლობითი რიცხვი

ინკლ. ლ-ათ̂ური-დ „ვასწავლით"

ექსკლ. ხ̂უ-ათ̂ური-დ „ვასწავლით"

ინკლ. გ̂უ-ათ̂ური „გვასწავლის"

ექსკლ. ნ-ათ̂ური „გვასწავლის"

**თქვენ** სიტყვით მოლაპარაკე ჩვეულებრივ საუბარში აღნიშნავს ორ პირს ან მეტს, რომელთაც საუბრის დროს ერთდროულად მივმართავთ ხოლმე. მორიდებულ საუბარში კი ერთ კაცსაც თქვენობით ველაპარაკებით. ამ შემთხვევაში „თქვენ" იგივეა, რაც „შენ", მაგრამ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც „მოდი"-სა და „მობრძანდი"-ს შორის: ჩვეულებრივ „მოდი" იტყვის, მაგრამ პატივისცემით მიმართვის დროს „მობრძანდი"-ს ამბობენ. მაშასადამე, „თქვენ" სიტყვას ორი მნიშვნელობა ჰქონია: ა) აღნიშნავს ერთზე მეტს, ეს არის ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა, და ბ) აღნიშნავს ერთს – ეს არის იმავე სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც მას ზრდილობიან საუბარში აქვს მოპოვებული (ა.შანიძე).

პირის ნაცვალსახელთა შორის ჩვენ მოვიხსენიეთ სიტყვა „თავი", რომელიც, როგორც ვიცით, შეიძლება არსებითი სახელიც იყოს. შდრ.: **თავი** სტკივა, სადაც თავი არსებითი სახელია, და **თავი** ისახელა, **თავი** შეირცხვინა, **თავი** მოიკლა, **თავი** გაწირა, **თავი** დაიხრჩო და ა.შ., სადაც **თავი** პირის ნაცვალსახელია. სხვებისაგან განსხვავებით, მას უკუქცევით უწოდებენ. განსხვავებას ადვილად დავინახავთ, თუ შედარებისათვის სხვა ენას (მაგალითად, რუსულს) მოვიშველიებთ: არსებითი სახელის მნიშვნელობით ნახმარი თავი სიტყვას რუსულში არსებითი სახელივე შეესატყვისება (თავი მტკივა – **голова болит**). ნაცვალსახელის მნიშვნელობით ნახმარი თავი კი რუსულში ხშირად . უკუქცევით ნაცვალსახელებს (**возвратные местоимения**) საჭიროებს (თავი შეიქო – **похвалил себя**, თავს უთხრა – **себе сказал**).

**2. ჩვენებითი (მითითებითი) ნაცვალსახელები:** ეს,

ეგ, ის (იგი), ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი (იგეთი); ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; იმისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი;

ჩამოთვლილთაგან **ეს, ეგ, ის (იგი)** შეიძლება ჩვენებითი ნაცვალსახელიც იყოს და პირისაც. შევუდაროთ ერთმანეთს: **ეს** ამბობს და **ეს** კაცი ამბობს; **ეგ** მომაწოდე და **ეგ** წიგნი მომაწოდე, **ის** მღერის და **ის** ბიჭი მღერის და ა.შ.

თქვენ ალბათ მიხვდით, რომ, თუ აღნიშნული ნაცვალსახელები უშუალოდ უკავშირდებიან ზმნას, ისინი პირის ნაცვალსახელის ფუნქციით არიან ნახმარნი (ეს ამბობს, ეგ მომაწოდე, ის მღერის), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნაცვალსახელი სახელთან ქმნის წყვილს (ეს კაცი, ეგ წიგნი, ის ბიჭი...), მაშინ იგი ჩვენებითია და არა- პირისა.

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც: ჩვენებითი ნაცვალსახელები, გარკვეული (პირთან მიმართების თვალსაზრისით), პირობითად, „სამეულებს" ქმნიან: **ეს, ასეთი (აგეთი), ამნაირი, ამისთანა, ამდენი** მიგვითითებს იმაზე, რომელიც ახლოსაა I პირთან (ჩემთან, ჩვენთან), ეგ, ეგეთი (მაგეთი), მაგნაირი, მაგისთანა, მაგდენი გვიჩვენებს იმას, რაც II პირის (შენთან, თქვენთან) სიახლოვესაა, ხოლო **ის (იგი), ისეთი, იმნაირი, იმისთანა, იმდენი** იმ შემთხვევაში იხმარება, თუ მივუთითებთ იმაზე, რაც არც I პირთანაა და არც II-სთანარამედ – სხვაგან, „ეს „სხვაგან" კი III პირის მყოფობის ფარგალია" (ა. შანიძე).

თუ დავაკვირდებით ჩამოთვლილ ნაცვალსახელებს, შევნიშნავთ, რომ ამა თუ იმ პირთან სიახლოვის ჩვენება ძირითადად ხმოვნების საშუალებით ხდება. შდრ: **ასეთი– ისეთი, ამნაირი – იმნაირი, ამისთანა – იმისთანა, ამდენი – იმდენი.** შეიძლებოდა გაგვეხსენებინა ზმნიზედებიც: **აქ– იქ,** სადაც, ნაცვალსახელთა მსგავსად, ა ხმოვანი I პირთან სიახლოვის მაჩვენებელია, ხოლო **ი** – III პირთან ახლომყოფობისა (ამ წესიდან თითქოს გამონაკლისს ქმნის **ეს – ის,** სადაც I პირთან სიახლოვეზე **ე** ხმოვანი მიუთითებს სამაგიეროდ, **ეს** ნაცვალსახელის მომდევნო ბრუნვებში (მოთხრ. **ამან,** მიც. **ამას,** ნათეს. **ამის,** მოქმ. **ამით,** ვით. **ამად**) სწორედ ა ხმოვანი აღდგება I პირთან სიახლოვის გამომხატველად: ამან – იმან, ამას – იმას, ამის– იმის, ამით– იმით, ამად – იმად).

**3. კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? რომელი? როგორი? (რარიგი?), რანაირი? რამდენი? (რაერთი?) სადაური? როდინდელი?**

**4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, იმისი, ჩვენი, თქვენი, (იმათი, თავისი.** ამ ჯგუფის ნაცვალსახელებით გამოხატულია კუთვნილებითი ურთიერთობა საგანსა და ნაცვალსახელით ნაგულისხმევ პირს შორის (ა. შანიძე). კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირის ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმის ხელახალი ბრუნებით (ამას თვალნათლივ დაგვანახებს ნაცვალსახელთა ბრუნება).

ყურადღება მივაქციოთ „მისი" და „თავისი" ნაცვალსახელთა ხმარებას. ზოგჯერ ისინი უმართებულოდ ენაცვლებიან ერთმანეთს: მოხუცმა ხე მისი ხელით დარგო (უნდა იყოს: თავისი ხელით დარგო), მან მისი თვალით ნახა... (უნდა იყოს: თავისი თვალით ნახა)...

ორივე ნაცვალსახელით, რა თქმა უნდა, კუთვნილებაა გამოხატული (III პირისა), მაგრამ მათ სხვადასხვა შინაარსი აქვთ: „მისი" იმ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ, თუ საგანი, რომელსაც იგი განსაზღვრავს, მოქმედი პირისა კი არ არის, სხვისაა: დედაჩემმა ბებიასთან გაიარა და მისი ხელით დაქსოვილი წინდები მომიტანა (ე.ი. ბებიას ხელით დაქსოვილი). მაგრამ, თუ საგანი ,რომელსაც ნაცვალსახელი განსაზღვრავს, თავად მოქმედ პირს ეკუთვნის, მაშინ „თავისი" იხმარება და არა „მისი": „დედაჩემმა მომიტანა თავისი ხელით დაქსოვილი წინდები" (ვაჟა) (და არა: მისი ხელით დაქსოვილი).



„მისი" და „თავისი" ნაცვალსახელებს რომ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ და ერთმანეთის ნაცვლად არ უნდა ვიხმაროთ, ამაში დაგვარწმუნებს გარეგნულად მსგავსი ორი წინადადების შედარება: მელიამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო (კუდი თავად მელიასია), და: მელიამ მისი კუდი მოწმედ მოიყვანაო (ეს ნიშნავს, რომ კუდი მელიასი კი არ არის, სხვისია).

**5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები. ვისი? რისი? რისა?**

**6. მიმართებითი ნაცვალსახელები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც (რარიგიც), რანაირიც, რამდენიც (რაერთიც), სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისიც, რისაც.**

თქვენ, ცხადია, მიხვდით, რომ მიმართებითი ნაცვალსახელები მიღებულია კითხვით (ან – კითხვით–კუთვნილებით) ნაცვალსახელებზე **ც** ნაწილაკის დართვით. ნაწილაკის დართვა კითხვითობას უკარგავს ნაცვალსახელს და მასთან ერთად – წინადადებასაც: ვინ მოვიდა? **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელია, წინადადებაც კითხვითია: ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! ვინც მიმართებითი ნაცვალსახელია და წინადადებაც მოკლებულია კითხვითობას.

ეს **ც** ნაწილაკი, რომელიც კითხვის მიმართებითად აქცევს, წინადადებაში შეიძლება სხვა სიტყვასთანაც შეგვხვდეს. შდრ: ეს ის ბიჭია, რომელსაც შენ წიგნი ართვი, და: ეს ის ბიჭია, რომლის დასაც შენ წიგნი ართვი. მიუხედავად იმისა, რომ **ც** ნაწილაკი არსებით სახელს (დასაც) აქვს დართული და ფორმალურად რომლის კითხვით ნაცვალსახელს ჰგავს, იგი მაინც მიმართებითია და არა კითხვითი.

(გაგრძელება იქნება)

ლეილა ბეზუჩაძე

# ვაჟა-ფშაველას პროზა

თამარ შარაბიძე



ვაჟას ებრალება ჟამთა ვითარებისგან სახეშეცვლილი მუხის ფესვებიც. გველებს რომ დამსგავსებიან. ისინი ხომ ერთ დროს უზარმაზარ მუხას კვებავდნენ. საზრდოს აწვდიდნენ. მათი ოფლით, მათი ღვაწლით თავმომწონედ ყელყელაობდა ხე. ფესვებსაც მოსწონდათ ამით თავი, რომ ამაყი და გულმეუდრეკელი შვილი გაზარდეს. ისინი ხვეწნით, ყელის წყვეთ, მუხლმოდრეკილნი გამოსთხოვდნენ ხოლმე საზრდოს დედამიწას საყვარელი შვილისთვის. შეუბრალებელმა ადამიანმა წაართვა მათ შვილი, ცულით მოჭრა, არ ესმოდა ფესვების კვნესა. გადმომდინარ სისხლს კი ხის წვენად მიიჩნევდა. მას მერე დაინგრა ფესვების ბინა, მოიშალა, ფლატე გაკეთდა. ისინი კი ტიტვლნი და მშიერნი დარჩნენ. მალე მოსწყდებიან და ღრმა ხევში ჩაეშვებიან. ვინ იცის, რა მოელით? დაიხოცებიან, თუ მიწა კვლავ დაფარავს და საზრდოს გაუჩენს? ვინ იცის, იქნებ გოქმაჟმა მდინარემ სადმე უდაბურ ადგილას გარიყოს ისინი, მწვავე მზის სხივებმა დააჭკნონ და გაახმონ?! ვაჟა გრძნობს, რომ დამჭკნარ ფესვებს ჯერ კიდევ სწყურიათ სიცოცხლე, კიდევ უნდათ შრომა, ეგებ კვლავ იგემონ სიხარული. პოეტი ემუდარება ბუნების ძალებს, შეიწყნარონ საბრალო ფესვების მუდარა.

ფესვები ერთ დროს საჭირო, მზრუნველი, მშრომელი, ერთგული არსებანი არიან, „თავისთვის უსარგებლო“. სხვისთვის კი სიკეთის მომტანნი, რომელთაც ბოროტებამ წაართვა ერთადერთი ნუგეში, ის, რისთვისაც ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ. უფუნქციონი, იმედდაკარგულნი საბრალონი არიან. პოეტი მათ ხვედრზე გვესაუბრება და მათ შეწყნარებას სთხოვს უფალს, მკითხველსაც შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს.

ბუნებასა და ადამიანთა ცხოვრებაში ბევრი რამ არის საერთო. ფესვების ხვედრი ადამიანთა ხვედრიცაა, ამიტომაც მართებს მკითხველს დაფიქრება. განა ადამიანთა ცხოვრებას არ ასახავს ხმელი წიფელიც, უღრან ტყეში ერთი კლდის თავზე მდგომი?! ვაჟა ისეთი სისადავით, ისეთი გულუბრყვილობითა და ალალვებით გადმოგვცემს მის ცხოვრებას, მის მდგომარეობასა და ტკივილს, რომ მკითხველს ანალოგიის გაკეთებაც კი ავიწყდება. გაუცხოების გრძნობა უქრება და ხმელი წიფლის დარდი უშუალოდ ხის განცდად ეჩვენება. სადარდებელი კი, მართლაც, ბევრი აქვს ხმელ წიფელს: წასულია სიცოცხლის ნიშან-წყალი, სამი ტოტიღა შერჩენია შუა წელს ქვევით, ზედა ტანი მოტეხილი აქვს. ამ სამი ტოტიდან წელიწადში მარტო ერთს თუ გამოუვა სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამჭკნარი, გაყვითლებული. ბუნებისაგან მინიჭებული სარჩოთი დატვირთული სხვა ხეები არაფრად აგდებენ მას, ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს განგებ განმორებიან და ამაყად დაჩერებიან თავზე. იყო დრო, როცა ისიც გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა აწვდილებოდა და თავისი დიდრონი ტოტებით ქოხივით ეხურებოდა მთელ ტყეს. მთიდან ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყ ყეფას. ახლა კი სულთამხრძოლს დამსგავსებია: ტანზე გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. რამდენიმე ადგილას კოდალას ამოუღრუტნია გულამდის და საცაა გულსაც ფქვას დაუწყებს. ის კი დგას წარბშეუხრელად, არც ავს ამბობს, არც – კარგს. როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ირწევიან. მხოლოდ ხმელი წიფელი დგას გაუნძრევლად. წინათ კი ქარის ბერვაზე ზღვასავით დაიწყებდა ღელვას. მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილივით ხმაურს ატეხდნენ. ახლა ქარს ვეღარ მიჰყვება სხვა ხეებივით. შეუპოვრად გულ-მკერდს ვეღარ უშვერს ქარიშხალს.

ვაჟას გულს უკლავს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკარგულია სიბრალულის გრძნობა. ხეებს ეხოთირებათ ხმელი წიფლის საახლოვე. „ნეტავი ეს არ გვაუშნოებდესო“, – ამბობენ. არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება სოფელში: არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი. ხეებისაგან ათვალწუნებულს დღეში სამჯერ მაინც ახსენებენ ხოლმე. არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დავიწყებია ხმელი წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს მისი სიდიადე.

ხმელი წიფელი სიკვდილის პირას მისული, ყველასაგან მოძულებული არსებაა, რომელსაც ახალგაზრდები არც კი კადრულობენ. ვაჟას აზრით, კი

„განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია?!
ათასს ცოცხალსა ბევრჯერა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“.

ხმელი წიფელი სხვა ხეებს, ე.ი. „ცოცხლებს“, თავისი წარსულით სჯობს: ისინი ვერასოდეს მიაღწევენ იმას, რასაც ხმელმა წიფელმა თავისი ცხოვრებით მიაღწია. ღვაწლი და წარსული კი არ კვდება. ხალხს ახსოვს და უყვარს ხმელი წიფელი! წარსულის ღირსების გრძნობა ყველაზე მეტად ხალხის რწმენასა და მეხსიერებაში იხატება. რწმენა კი წარსულის ქურდნობა.

ვაჟა-ფშაველა ამ მოთხრობას იმედით ასრულებს. ხმელი წიფლის სახელი ჯერ არ დაკარგულა, შესაძლებელია, არც დაიკარგოს. მისი ფესვის ბოლოზე ამოსული პატარა ყლორტი ხომ მზესა და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესაა ვაჟას იმედიც, რწმენა მომავლისა და სიცოცხლის უკვდავებისა.

ხშირად ხმელ წიფელში საქართველოს სახეს ხედავენ

დასასრული. დასაწყისი იხ. „ბურჯი ეროვნებისა“, №1

ხმელი წიფელი. მართლაც შესაძლებელია წარმოვიდგინოთ საქართველოდ, რომელიც ელის თავის მომავალს. ვაჟას შემოქმედება „პოლითემატურია", რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ნაწარმოებში ხშირად ერთმანეთის პარალელურად რამდენიმე თემა იკვეთება. რამდენიმე იდეა ყალიბდება, რომლის აღქმა მკითხველის მახვილგონიერებაზეა დამოკიდებული.

ჩვენი აზრით, „პოლითემატური" ნაწარმოებია ვაჟას მოთხრობაც „მთანი მაღალნი". დგანან მთები და რაღაცას ელიან. უსაზღვროა მათი მოლოდინი. „უსაზღვრო ზღვად დგას მათ გულში, წმიდად, სისხლისფრად შედედებული უთვალავ გულ-მკერდში". გარეთ, სახეზე არაფერი ეტყობათ გარდა მტერობისა. არავინ იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი დუღს და გადმოდის. დგანან წარბშეუხრელად, ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. ვაჟა ცდილობს მათ სულში შეღწევას, მათი დარდის მიზეზის ამოცნობას და ამ გრძნობითვე განაწყობს მკითხველს – იქნება სატრფო ჰყავთ დიდი ხნის უნახავი, ან შვილი დაკარგეს, ან დედას ელიან?! – სვამს კითხვას პოეტი. მაგრამ მთებისგან პასუხი არ ისმის. „რა დააშრობს იმათ გულში მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას..." პოეტი ამჩნევს, რომ თვით ასეთი არსებებიც კი, რომელთაც არ სურთ, არ ძალუძთ დარდის წარმოჩენა, ჩუმად ოხრავენ და ცრემლს ღვრიან. მათაც უხარიათ ხანდახან, ქვეყანას კი ჰგონია, ვითომ ვერაფერს გრძნობენ. მთების გულში სანთელი აინთება ხოლმე, როცა ლაღი არწივი დასთამაშებთ თავზე და დასასვენებლად მათ კალთაზე ეშვება.



ვაჟა მოხიბლულია მთების შეუდრეკელი ბუნებით. წვიმა წვიმს მათ თავზე, ელვა უტრიალებს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ისარივით ერჭობა გულ-მკერდში, ირგვლივ ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. დებს თოვლს, ყინავს, ცვივა, ქვა ტყდება. მთები კი ისევ ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ, მაგრამ არ იხოცებიან. „ელიან ვის? ან რას? რაღაცას, დიდს, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ინახეს და გაითავეს, რასაც იმათი თვალი და გული მოსწყდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა".

მთა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სიმბოლოა სიმაღლის, შეუდრეკლობის, გაუტეხლობის, სიმხნევის, ერთგულების. მთა დარდს არ ამჟღავნებს, ჭირს უმაგრდება. ის მისაბაძია ადამიანისათვის, „სახიძია საქართველოსი". იგი ხშირად პატრიოტული გრძნობის აღმძვრელიცაა. ლაღი არწივის ხილვა სიხარულს ჰგვრის მას. ეს მთები შეჩვევიან თავისუფალ და მარც შეჟლებს მათი ნაღველის სიახლე. რაც საუკეთესოა ქვეყნების სრულყოფილებისა, თავისუფლებისაკენ სწრაფვისა. სწორედ ეს მოუტანს მათ ბედნიერებას, სწორედ ამას ელიან ისინი. ვაჟას ამ მოთხრობის ზოგადსაკაცობრიო იდეაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ პოეტის სამშობლოს – საქართველოს თავისუფლების იდეაც, რაც ყოველთვის მტკივნეული პრობლემა იყო ვაჟასთვის.

იდეის მოტივი ვაჟას თითქმის ყველა პროზაულ ნაწარმოებში იჩენს თავს. მაგრამ ვაჟა არ განმარტავს, თუ რას ნიშნავს „უნახავის დანახვა", არ იძლევა მის კონკრეტულ წარმოდგენას. როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს, „მის თხზულებებში ფაქტები, მოვლენები და საგნები დგანან ჩვენს წინაშე და არა პოეტის აზრი მათ შესახებ. ვაჟა-ფშაველა კი არ ასკვნის და აფასებს, არამედ ხედავს და ამაშია მისი, როგორც ხელოვანის თავისებურება". ჩაფიქრებისა და აღქმის შესაძლებლობას დიდი მწერალი მკითხველს მიანდობს.

როგორც ვაჟას მთლიანი შემოქმედებისათვის, ასევე მისი პროზისათვის დამახასიათებელია ისეთი მოვლენებისა და პერსონაჟების არჩევა, რომელთა ბედი სევდით არის მოცული. ხმელი წიფელი სიკვდილის პირასაა, მთის წყაროს დაღუპვა მოელის, ის სუსტი და დაუცველია, ფესვები – უფუნქციონო და განწირულნი, კლდე- მტირალი, დაჭრილია არწივი, მოჯაჭვულია ამირანი. უსაზღვროა მთების მოლოდინიც. ამ სახის მასალის შერჩევა, ჩვენი ღრმა რწმენით, პატრიოტული ინტერესებით უნდა იყოს განსაზღვრული. ვაჟას ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, ნატრული ბედნიერებას მოიპოვებს ტანჯვით, მოთმინებითა და რწმენით. ეს გზა უნდა გაიაროს მისმა სამშობლომაც.

ვაჟას პროზა მცირე ზომისაა. მწერალი არ ესწრაფვის სიუჟეტის გაფართოებას. მისი პროზის სიღრმე მაღალ მორალურ აზრში და პერსონაჟთა სულიერი ვითარების წარმოჩენაში მდგომარეობს. მიუხედავად ზნეობრივი პრობლემების გაშუქებისა, ვაჟას პროზაში არ გვხვდება მორალისტური შეგონებები. ავტორი ისე ქადაგებს ზნეობრივ იდეალებს, რომ მაინც საგანგებოდ არც კი მიუთითებს. ბუნების ქმნილებანი საკუთარი თავის თვითდახასიათებით არიგებენ, ასწავლიან ადამიანებს იყვნენ მოწყალენი, გაიზიარონ სხვისი ტკივილი, დაიფარონ სუსტი და დაუცველი, დააფასონ ღვაწლი და ამაგი, მოერიდონ ბოროტებას, იღვაწონ არა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, არ გაუტყდნენ გასაჭირს, ჰქონდეთ იმედი და რწმენა სიკეთისა, თავისუფლებისა და მომავლისა.

ვაჟას პროზა წმინდა სალიტერატურო ენით არის შექმნილი. თუ მის პოეზიაში ვხვდებით ფშაური დიალექტისათვის დამახასიათებელ ფორმებს, სიტყვებსა და გამოთქმებს, რაც მისი პოეტური სტილის თავისებურებაა, პროზაში მას სხვა გზა აქვს არჩეული. ვაჟას პროზის სტილი მოკლე ფრაზები და ჩვეულებრივი სასაუბრო მეტყველებაა. მწერალი ხშირად პირველი პირით თხრობას მიმართავს, რითაც უფრო მეტ უშუალობას ანიჭებს პერსონაჟის განცდებს. მწერალი მიმთითებლურ მოვალეობას არ შეაგრძნობინებს მკითხველს და მას თავად უტოვებს მორალური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.

# რუსთველი - ნიზამი

**(წერილი მეორე)**

## „ვეფხისტყაოსანი“, როგორც სიყვარულის სიუჟეტური რეალიზაცია თეოლოგიური თვალსაზრისით.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის თანახმად, სიყვარული წარმოიდგინება, როგორც ერთაგვარი კიბე, რომლის პირველ საფეხურზე დგას პიროვნება (მე), ხოლო უკანასკნელ საფეხურზე ღმერთი. ამაღლება პიროვნებიდან (მე-დან) ღმერთამდე და მასთან ზიარება (შერწყმა) ხდება იერარქიულად მკაცრად დიფერენცირებულ საფეხურებზე გადაადგილებით.



სიყვარულის კიბის პირველ საფეხურზე დგას ადამიანის (პიროვნების, მე-ს) სიყვარული საკუთარი თავისადმი, როგორც საგალდებულო პირობა. ღმერთმა შექმნა ადამიანი ხატად და მსგავსად თავისად (დაბ: 1, 26-27; 5,1) და ღვთის ქმნილებებს „ღვთის სიყვარული იმით გამოეცხადა, რომ ღმერთმა მოავლინა წუთისოფელში თავისი მხოლოდშობილი ძე, რომ მისით ვიცოცხლოთ“ (1 იოანე 4,9) და რა უფლება აქვს ადამიანს, არ უყვარდეს თავისი თავი, როდესაც პირველად იგი ღმერთმა შეიყვარა (1 იოანე 4,19), როდესაც ქრისტემ თავისი ჯვარცმითა და სისხლით გამოისყიდა ადამიანის ცოდვები (1 პეტ: 1,18-19; 1 იოან: 1,7, 1 კორ: 8, 20; ეფეს: 1,7; ებრ. 9,14; გამოცხ.: 1,5).

სიყვარულის უფრო მაღალ, მეორე საფეხურზე დგას ადამიანის (პიროვნების, მე-ს) სიყვარული იმ ადამიანებისადმი, ვინც მას არ აურჩევია, ვინც მან ღვთისაგან მიიღო (დედ-მამა, და-ძმა...) და რომელთა სიყვარულიც მისთვის სავალდებულოა და თანაც სავალდებულოა იმავე დონეზე, რა დონეზეც საკუთარი თავისა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ლევიტ: 19,18). ეს საფეხური უდებს საზღვარს საკუთარი თავისადმი სიყვარულსაც - ის არ უნდა აღემატებოდეს მოყვასის სიყვარულს. პირველი საფეხურის გარეშე კიბე საერთოდ ვერ იარსებებს: „თუ ჩემი მე ზიზღის ღირსია, მაშინ პრინციპი - გიყვარდეს მოყვასი შ[illegible] [illegible]არცა თავი შენი - სასტიკ ირონიად იქცევა“ (პოლ ვალერი[illegible]

პირველი საფეხურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი გაწირვა, სხვა საფეხურებისთვის მისი მსხვერპლად შეწირვა შეუძლია ქეთილშობილ ადამიანს.

სიყვარულის კიბის ეს მეორე საფეხური მარკირებულია სისხლის ერთობით, სისხლისმიერი (გენეტური) ნათესაობით.

ქრისტიანობის მიერ ეს მცნება აღიარებულია მეორე უდიდეს მცნებად ღვთის სიყვარულის შემდეგ (მარკ: 12, 28-31; მათ: 5, 43; 22, 39; იაკ: 2,8; რომ. 13,9; გალ: 5,14).

სიყვარულის კიბის მომდევნო, მესამე საფეხურზე დგას სიყვარული მოპირდაპირე სქესისადმი (ტრფობა, მიჯნურობა) - როდესაც პიროვნება დედამიწის მოსახლეობის სქესობრივი ნიშნით გადიფერენცირებული ორი ნახევრიდან ერთ-ერთში საკუთარი ნებითა და გემოვნებით ირჩევს ერთ არსებას (მოპირდაპირე სქესის პიროვნებას) - სატრფოს (მიჯნურს, შეყვარებულს) - „ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ“ (დაბ.: 2,24).



სიყვარულის კიბის ამ, მესამე, საფეხურზე მარკერი ხორციელი შერწყმისაკენ სწრაფვაა („ვეფხისტყაოსანში“: „პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა“ 768).

ეს სიყვარულის კიბის პირველი არჩევითი საფეხურია.

მომდევნო, კიდევ უფრო მაღალ, მეოთხე საფეხურზე დგას სისხლისა და სქესისგან დამოუკიდებელი სიყვარული (მეგობრობა, მოყვრობა) - როდესაც პიროვნება (ადამიანი, „მე“) დედამიწის, ამჯერად უკვე მთელი მოსახლეობიდან ნებაყოფლობით ირჩევს მეორე პიროვნებას - მეგობარს (მოყვარეს. „ვეფხისტყაოსანში“: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ 844).

სიყვარულის ამ, მეოთხე საფეხურზე მარკერი სულიერი ერთობისკენ სწრაფვაა („ვეფხისტყაოსანში“: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ზერად,

(გაგრძელება დას. იხ. „ბე“ №1, 1998 წ.)

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად". 777).

**შენიშვნა:** **ცხადია, სულიერი მომენტი არც წინა საფეხურებზე გამოირიცხება, თვით სისხლისმიერი ნათესაობის დროსაც, მაგრამ აქ ლაპარაკია საფეხურებზე ამაღლების კვალდაკვალ სულიერი მომენტის პროგრესირებად დომინანტურობაზე.**

ასე მაღლდება ადამიანი ღმერთამდე, ხოლო ქრისტიანობის მიხედვით, „ღმერთი სიყვარულ არს" (1 იოანე: 4.8; 4.16).

რუსთველის მიერ მოციქულთა დამოწმებით ნათქვამი: „სიყვარული აღგვამაღლებს" („წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?/ ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაყერენ. /"სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ჟღავნის, ამას ჟღერენ... 782) – პიროვნების (ამ შემთხვევაში მისი პერსონაჟების) სწორედ სიყვარულის ამ სიმბოლურ კიბეზე ზეასვლას გულისხმობს.

მაგრამ თუ პიროვნების (ადამიანის) ამაღლება კიბეზე ხდება ქვემოდან ზემოთ – საკუთარი თავიდან ღმერთისკენ, ე.ი. იერარქიულად უფრო დაბალი დონის საფეხურიდან უფრო მაღლისკენ, სამაგიეროდ, დახმარება (შველა) ხორციელდება ზემოდან ქვემოთ.

არაბეთის მეფე როსტევანს ვეფხისტყაოსანი მოყმის ნახვის შემდეგ უჩნდება პრობლემა. ეს მისი პირადი, ე.ი. პირველი საფეხურის პრობლემაა. როსტევანი კარგავს სიმშვიდეს, სილაღეს, სულიერ წონასწორობას. იგი უძლურია, თავად გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემა.

„ვეფხისტყაოსნის" სიყვარულის კიბის მიმდევნო, მეორე საფეხურზე დგას როსტევანისა და თინათინის (მამა-შვილის) სიყვარული.

როსტევანის (ანუ მისი პირველი საფეხურის) პრობლემის გადაწყვეტას ითავებს მისი ასული თინათინი (დაკავშირებული მასთან მეორე, ე.ი. ზემდგომი საფეხურის სიყვარულით), ვისთვისაც მამაშვილურმა სიყვარულმა მამის პრობლემა მათ საერთო პრობლემად აქცია. მაგრამ პრობლემა ამ საფეხურზეც გადაუჭრელია.

სიყვარულის კიბის მიმდევნო, მესამე საფეხურზე დგას თინათინისა და ავთანდილის სიყვარული (მიჯნურობა).

თინათინი, რომელსაც როსტევანის პრობლემის გადასაჭრელად, თავის მხრივ, ასევე სჭირდება დახმარება, შველა, მიმართავს ზემდგომ, მესამე საფეხურს (რომლის ჩარევის გარეშე მამა-შვილისათვის სიმშვიდისა და ბედნიერების დაბრუნება შეუძლებელი იქნება) – ეს კი უკვე, როგორც ვთქვი, თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის საფეხურია. ავთანდილი იწყებს მოქმედებას თინათინის დასახმარებლად, მიდის უცხო ყმის, ვეფხისტყაოსნის (ტარიელის) საძებრად, პოულობს მას და იგებს მის ამბავს, რითაც ახერხებს კიდეც სიყვარულის კიბის ქვედა საფეხურების პრობლემის გადაჭრას.

თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის საფეხური ეხმარება თინათინისა და როსტევანის სიყვარულის საფეხურს, ხოლო თინათინისა და როსტევანის სიყვარულის საფეხური ეხმარება, თავის მხრივ, როსტევანის საკუთარი თავისადმი სიყვარულის საფეხურს – არაბეთის მეფე იბრუნებს სულიერ სიმშვიდესა და სილაღეს.

მაგრამ ამავე მესამე საფეხურზე, რომელზეც დგას თინათინისა და ავთანდილის სიყვარული, დგას სხვა შეყვარებული წყვილიც: ტარიელი და ნესტან-დარეჯანი, რომელთა პრობლემის გადაწყვეტა მათ საფეხურზე და მათი ძალებით შეუძლებელია.

და აი, მათ შველად მოდის ზემდგომი, მეოთხე საფეხური, რომელზეც დგას ავთანდილისა და ტარიელის (აგრეთვე ფრიდონისა) სიყვარული (მეგობრობა). სიყვარულის კიბის ეს მაღალი საფეხური, ცხადია, ახერხებს ქვედა საფეხურის პრობლემის გადაჭრას, უფრო სწორად პრობლემებისა: ჯერ მეოთხე საფეხურზე მყოფი ავთანდილი (ავთანდილისა და ტარიელის სიყვარული) დაეხმარება ტარიელს (ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარულის) მესამე საფეხურის პრობლემის გადაწყვეტაში, შემდეგ მათი როლები შეიცვლება და უკვე მეოთხე საფეხურზე მყოფი ტარიელი (ტარიელისა და ავთანდილის სიყვარული) გადაუწყვეტს ავთანდილს (ავთანდილისა და თინათინის სიყარულს) მესამე საფეხურის პრობლემას.

ყოველივე ამის განხორციელებაში „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟებს ეხმარება ღმერთი – ამ კიბის მიზეზიც და მიზანიც ერთდროულად.

რუსთაველთან ამაღლებადი სიყვარულის ქრისტიანული კონცეფციის ინტერპრეტაცია ორიგინალურია და სრულყოფილი, ის გამსჭვალავს მთელ ნაწარმოებს, „გაძრულია" მის მხატვრულ ქსოვილში (არ დევს ზედაპირზე და არ არის დეკლარაციული).

(გაგრძელება იქნება)

**მიხეილ ჟორდანი**

ამ წერილის რუსთაველისადმი მიძღვნილი ნაწილი წაკითხულია მოხსენებად აკად. ნიკო მარის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე „ენა და აზროვნება I. 1984 წლის 25 დეკემბერს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში. თეზისები გამოქვეყნებულია: „სიყვარულის ქრისტიანული კონცეფციის რუსთველისეული ინტერპრეტაცია."

27066

თამარ ინჯია

# დისფემიზმის წინააღმდეგ თანამედროვე პრესის ენაში

ნებისმიერი ერის კულტურის, კერძოდ, ეროვნული ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია პრესა. მხატვრული ლიტერატურისაგან განსხვავებით, მისი ძირითადი დანიშნულება არის ინფორმაციის მოწოდება, რომელიც მას, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებს დიდაქტიკური ფუნქციისაგან. ამასთან ერთად, როგორც სიტყვიერი ხელოვნების, ასევე პრესის არსებობის საფუძველი ენის ფენომენის არსებობაა და, ბუნებრივია, ორივე მათგანის მოვალეობას წარმოადგენს მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მისი სიწმინდის დაცვა.

ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულის შეხსენება სჭირდება დღევანდელი ჟურნალისტების ერთ ნაწილს, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული, რომ „ენა არის საზოგადოებრივი მოქცევის ფორმა" (ბ. ჯორბენაძე), საზოგადოების სულიერების მაჩვენებელი, როგორც ამსახველი მისი სულიერი და ყოფითი ცხოვრების შინაარსისა.

„სულიერი დამცრობა ენის დაქვეითებასაც იწვევს, გახუნებული და უსახური გამონათქვამების მომრავლებას, რადგან აზრის გადაგვარება, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებაში იჩენს თავს" (ბ. ჯორბენაძე). ენა, მეტყველება თვითმახასიათებელია მისი მომხმარებლისა.

ენის აღზევებისა და დაცემის ნიმუში ქართველი ერის ისტორიაში ძნელად საძებარი არაა: ისტორიულმა ქარტეხილებმა თავისი კვალი დაამჩნია ქართულ ენასაც – მაღალხელოვნური ძეგლების ეპოქა ახალი შემოსევით შეხუთავდა ქართულ სიტყვას, სულიერ გადატეხვას კი დიდი ხნის ხანხლებაზე ძირეულ დაშრეტამდე მიუყვანია ენა: დარბაისლური მეტყველება უბადრუკი ჟარგონით შეცვლილა, დღევანდელი სიმაყეს სხვათა ენის ნიკორიული ცოდნით თავმომწონეობისათვის დაუთმია ადგილი". ამიტომაც ევფემიზმი (კეთილსიტყვაობა), ამაღლებულ ქართულ დისფემიზმს (ბილწსიტყვაობას), შეუბრალებლად იდიომატიკას, ვულგარულ-ბანალურ მეტყველებას თითქმის განუდევნია.

სწორედ ამგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე დღეს ერთ ტიპის ქართულ პრესაში, სადაც ქუჩური, ელანური მეტყველება ლიმის სალიტერატურო ენად ქცეულა.

პრესაში ენის სიწმინდის დაცვა ყოველთვის იდგა დღის წესრიგში, რასაც ემსახურებოდა როგორც საგანგებო სახელმწიფო კომისიები, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა, ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სხვა. სანიმუშოდ გავიხსენებთ ამ ინსტიტუტის მიერ გამოცემულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების" მე-3 ტომს, იგი საგანგებოდ პრესის ენას ეძღვნება (გამოცემულია 1980 წ.), სადაც გრამატიკულ-სტილური შეცდომა-დარღვევების ანალიზი და, შესაბამისად, მართებული ფორმებია მოცემული. ამგვარი ბევრად უფრო მძიმე ხასიათისა და ბევრად უფრო მეტი რაოდენობის შეცდომა გვხვდება დღევანდელ პრესაში, მაგრამ ამჟამად უფრო ღრმა, უფრო მტკივნეულ საკითხს გვინდა შევეხოთ: ესაა ქართული ენის (როგორც საზოგადოების სულიერი და ყოფითი ცხოვრების გამომხატველი ფენომენისადმი) პრესის დამოკიდებულების, ხაზს ვუსვამთ, **დამოკიდებულების** საკითხი.

დღევანდელ ქართულ პრესაში თვალშისაცემად მომრავლებულია დისფემიზმი და იქნებ საჭირო იყოს, დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ გაადვილდა ასე უარყოფითი ემოციების (და საერთოდ ემოციების) უხამსი ლექსიკით, სხვადასხვა სოციალური კლანებისათვის დამახასიათებელი ჟარგონით აფიშირება პრესიდან. არათუ გაადვილდა, არამედ თავმოწონებისა და შექებრის საგნადაც კი იქცა. გაუგებარია, რა იძლევა თავმოწონების საფუძველს.

ნუთუ მეტყველების ეთიკის ელემენტარული ნორმების დარღვევა დიდად საამაყო რამაა?!

ნუთუ ჟარგონულ – ქუჩური ლექსიკის მოურიდებლობა თავისუფლების ერთგვარი ატრიბუტია?!

ნუთუ ჟურნალისტის დამოუკიდებლობის, გამბედაობის ან პრინციპულობის დასტურია ქვემოთ მოყვანილი (ამჟამად მხოლოდ მათ ვეხებით) სათაურები, დიდი ასოებით გამოტანილი სხვადასხვა გაზეთების რაღაც ანოტაცია – სარჩევის მსგავსი I გვერდზე?!

„არც ჩვენი ბავშვების კვება გვინდა და არც სხვისი გაკეთებულის მოვლა". („კავკასიონი", 1997. 13 ნოემბერი).

„ბორდელიერო... საზოგადოება თან ხმარობს, თან აფურთხებს" („კავკასიონი", 1997. 22 ოქტომბერი).

„ამ ჩათლახების გულისთვის მიშვები „სროკზე"? („რეზონანსი", 1997. ოქტომბერი).

„დიდი ვერული პოეტი, ყომყრალი რუსი ამაშუკელი ვიღაცის უკანალმა შეაწუხა" („თბილისის ფოსტა", 1997. 4 ნოემბერი).

„ილეთის ხარჯზე გასუქებულნი, ნასვამ-ნაჭამთი გახურებულებმა ნაპარავი რომ შეინარჩუნონ, იმიტომ ხდება განხეთქილება..." („ახალი თაობა", 1997. 19 დეკემბერი).

„აღარ გვჭირდებით, გაეთრიეთ აქედან, ხაშლამა ხომ კარგად ჭამეთ". („ალია", 1997. 8 დეკემბერი).

„პოლიციელი „დაბოლვას" განაგრძობს..." („ალია", 1997. 2–3 დეკემბერი).

„ძვირფასო თბილისელებო და ნამოსულო სტუმრებო, ნუ იზამთ ფსიფსის მიწისქვეშა გადასასვლელებში" („ახალი თაობა", 1997. 29 სექტემბერი).

„საზზე მოუწყვეთ, თქვე „ბლიადებო" – გვიყვირიან ოფიცრები". („საქართველო", 1997. 17–23 დეკემბერი).

„ფეხებზე მკიდია თქვენი ეური, მე მიყვარს" („ალია", 17–18 ივლისი, 1997).

„პარლამენტმა პრესას მოუკიბავ-მოუკიბავად უთხრა: დედა უნდა გატიროთო" („საქართველო", 17–23 ნოემბერი).

„რუსთავში ბორდელი „გაბლატავდა" („თბილისის ფოსტა", 1997. 27 ნოემბერი).

„მის ახალ პაპას „ბლატნოი" ნომრები აქვს" („თბილისის ფო-

სტა", 1997, 27 ნოემბერი).

„მართლაც ხომ არ გვეცალა ბოზების ექსპორტირება-აფხაზეთში". („ახალგაზრდა ივერიელი", 1997, 10–16 ნოემბერი).

„ჯორჯ! ტრუსიკს ხელი არ მოკიდო... მოგკლავ". („შანსი", 1997, 7–8 დეკემბერი).

„ქურდებმა მაიკროსოფტი 30 მილიონზე გაასრიალეს" („ახალი თაობა", 1997, 18 ნოემბერი).

„გიორგაძისთვის სულერთია, ვის წაიყვანს ლეკიშვილი „პაემნებში" – ჭყონიას თუ ბოზებს" („ალია", 1997, 18 ნოემბერი).

„ჩემოდნიდან კობრა სისინით ამოძვრა და სახეში მომაშტერდა... გავშრი... მოვკვდი ადგილზე და... ჩავისველე" („ალია", 1997, 6–7 ნოემბერი) და სხვ.

ამ სათაურთა უმეტესობა ციტატაა, ინტერვიუერის მიერ შერჩეული ინტერვიუდან (სათაურის დარქმევის ამგვარი ხერხი გაბატონებულია დღევანდელ საგაზეთო ენაში). საკუთარ თავში დარწმუნებული ინტერვიუერები ისე თამამად იყენებენ ამგვარ ფრაზებს, თითქოს თავანკარა, კლასიკური ქართულით წერდნენ და, ბუნებრივია, მათი მხრივ უხერხულობის ოდნავი განცდაც კი არ ჩანს. ავიწყდებათ, რომ „როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადაიქცევა ხოლმე" (ილია) და „აზროვნების პრიმიტიულობა და სიღუხჭირე ენობრივ სიღუხჭირეში ვლინდება", რომ „ენა განსაზღვრავს ჩვენს მოქცევას", რადგან თუ ადამიანი უშვებს გამოთქმას, მაშასადამე უშვებს ქცევასაც. ის, რაც საჯაროდ გამოითქმის (და როგორც გამოითქმის), ივარაუდება, ვიზირებულია.

სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ენის მიმართ (და არა თავისთავად დისფემიზმის არსებობა ენაში) მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, საგანგაშო მოვლენად, ვინაიდან „სამყაროს შეცნობა ადამიანს მხოლოდ ენით შეუძლია და ენა იმავდროულად პიროვნების სოციალურ-პროფესიული ვინაობის გამომხატველია" და, ამასთანავე, ვფიქრობთ, ერის სულიერი მდგომარეობისა.

ჩვენი მიზანია არა ჩამოთვლა და ახსნა იმ მიზეზებისა, რამაც ასე ფართოდ გაუღო კარი დისფემიზმს დღევანდელ ქართულ პრესასა თუ საერთოდ მასმედიაში, შედარებით ნაკლებად კი თვით ტელევიზიის მუშაკთა და პარლამენტართა მეტყველებაში, არამედ მთელი საზოგადოების (სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტების) ყურადღების შეჩერება ქართული ენის განვითარების ისტორიაში მე-20 ს. 90-იანი წლების ამ მეტად საშიშ ფაქტზე. ალბათ, უპრიანი იქნება, თუ აღნიშნულ პრობლემაზე, ფილოლოგებისა და ენათმეცნიერების გარდა, დაფიქრდებიან როგორც თავად ჟურნალისტები, ასევე ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, პოლიტიკოსებიც კი და ერთიანი ძალით გადაუკეტავენ გზას ჟარგონულ-ქუჩურ მეტყველებას, გაუფრთხილდებიან, დამდაბლებისა და შეურაცხყოფისაგან დაიცავენ ქართველი კაცის სიამაყის ოდითგანვე უპირველეს საგანს– მშობლიურ ქართულ ენას, დედაენას.

განგაში

# ბიზნესი სამშობლოს ხარჯზე?!

ამ რამდენიმე დღის წინათ შევიძინე თურქეთში დამზადებული რვეული, რომელიც, ალბათ, უხვად იყიდება მთელს საქართველოში. ჩემი, როგორც ისტორიკოსის, ყურადღება მიიპყრო რვეულის გარეკანმა, მხატვრული მინიატურით, რომელზეც ისტორიული სიუჟეტია აღბეჭდილი. აქ გამოსახულია ქალაქი, თავისი არქიტექტურული იერსახით – აღმოსავლური. მას ალყა აქვს შემორტყმული მაჰმადიანთაგან; თუ ტანისამოსითა და თავსაბურავით ვიმსჯელებთ, ისინი თურქები უნდა იყვნენ. გამოგიტყდებით, ამ სურათით (მინიატურით) ვერა და ვერ მივხვდი, რომელი ქალაქის ალყაზეა მინიშნება. მაგრამ პრობლემა დიდად თავსატეხი როდი აღმოჩნდა: სურათის „მარცხენა მხარეს, ინგლისურად აღნიშნულია: „Tiflis in Zaptedilmesi" – „თბილისის დაპყრობა".

გაოგნდი: აი, თურმე, როგორი მეგობრული (ხალხთა შორის!) ხიდების გადება სდომებიათ თურქ ბიზნესმენებს. რა თქმა უნდა, მსგავსი ფაქტი ისტორიაში, მართლაც, რამდენჯერმე მოხდა, მაგრამ ამგვარი ფაქტების წარამარა, „საყოფაცხოვრებო დონეზეც" კი, ჩვენთვის შეხსენება ხომ დიდი უტაქტობაა და გარკვეულ იმპერიალისტურ ზრახვებს ამჟღავნებს. აბა, წარმოიდგინოთ: ჩვენ, ქართველებმა ბასიანის ბრძოლის, ან კარისა (ყარსისა) და ტრაპიზონის ქართველთა ჯარისგან აღების (ესეც ხომ ისტორიული ფაქტებია!) ამსახველი მხატვრული ტილოების გავრცელება ვცადოთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში. ვეჭვობთ, ასეთი ფაქტით თურქები არ აღშფოთდნენ და თავიანთ სამშობლოში ასეთი ნაწარმოებების პოპულარიზაციას გულგრილად შეხვდნენ. ჩვენ რაღა გვემართება? მართლა გასაოგნებელია, რომ ამგვარ, აშკარად ანტიქართული ტენდენციის მატარებელ სურათს ჩვენი ბიზნესმენები თუ კომერსანტები თავისუფლად, სინდისის ქენჯნის გარეშე ავრცელებენ საქართველოში! აქედანაც ჩანს, რომ ახლად ფეხადგმული ქართული ბიზნესმენისათვის პატრიოტიზმი, სამშობლო, ვაგლახ, ოდენ ცარიელი სიტყვებია...



Tiflis in Zaptedilmesi

გურამ ყორანაშვილი

„თბილისი", 7 თებერვალი, 1998 წ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის პროფესორი დავით გეწაძე ახლა 80 წლისა იქნებოდა. ორ ათეულ წელზე მეტია, რაც აღარ არის. მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი განგვაცდევინა ყველა მის ახლობელს, ნაცნობ-მეგობრებს.

„სახსოვრად ჩემს საყვარელ სტუდენტსა და მეგობარს" – ასე აწერია მის მიერ ჩემთვის ნაჩუქარ ერთ წიგნს. დიახ, მე მისი სტუდენტი ვიყავი, თვითონ იგი კი მაშინ ბატონ გიორგი როგავას ასპირანტი გახლდათ, ომგამოვლილი ახალგაზრდა ვაჟკაცი. როგორც პედაგოგი, პირველად ჩვენს კურსთან მუშაობდა, ჩვენთანვე წაიკითხა პირველი საცდელი ლექციაც ქართული ენის სინტაქსში. მიმზიდველი თხრობა იცოდა, ახსნა – ნათელი და ლოგიკური, ხმა ისეთი ჰქონდა, თითქოს მკერდიდან გუგუნით სითბო ამოსდიოდა. ამას თვალების შუქიც ემატებოდა... საკმარისი იყო ერთი დანახვა, ერთი წინადადებაც კი და მიხვდებოდით, თქვენ წინაშე გულმართალი, კეთილი ადამიანი იდგა. წარბშეკრული, გაჯავრებული, ხმაწეული არასოდეს გვინახავს.

კარგი ყველაფერი უცბად ბავშვივით აღიტაცებდა ხოლმე, გრძნობის დამალვა არ შეეძლო.

პოეზია ძლიერ უყვარდა. სალაღობო ლექსებსაც წერდა...

ქართული ენის სტრუქტურის ნიჭიერი მკვლევარი გახლდათ. მრავალი საყურადღებო ნაშრომი დაგვიტოვა. მარტო მისი სადოქტორო დისერტაცია რადა ღირს. იგი ხომ ფუნდამენტური გამოკვლევაა სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის შესახებ.

ტანად ბრგესა და ღონიერს საოცრად რბილი და მშვიდი ბუნება ჰქონდა. მახსოვს, ერთხელ, მისაღები გამოცდების დროს, შემოვიდა ერთი ყმაწვილი, რომელსაც „2" მიეღო და ნაწერის ნახვასითხოვდა. სანამ მე ნაწერს ვეძებდი, დავითმა მოიხმო შემოსული და საუბარი დაუწყო: გულს ნუ გაიტეხ, უკეთ მოემზადები და ჩააბარებო. მერმე გვერდით დაისვა და ნაწერი აჩვენა, თანაც უხსნიდა, სად რა შეცდომა იყო. ათიოდე წუთის შემდეგ ყმაწვილი წამოხტა და მუშტი შეკრა, სახეზე მგლისფერი ედო. დავითს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. დინჯად წამოდგა, მარჯვენა მკლავის სახელო ოდნავ აიწია, მაჯა გამოაჩინა და ყმაწვილს ტკბილად უთხრა: შენ, ჩემო ძმაო, ახსნა თუ გინდა, ახსნა ეგ არის, თუ არა და არც სხვა საქმეში გაგაცხვევო. დავითის მსხვილ მაჯას რომ მოჰკრა თვალი, ყმაწვილი სწრაფად შეტრიალდა და გაგვეცალა. მე გავეცინე და ვკითხე: ოდესმე ვინმესთვის თუ დაგირტყამს-მეთქი?

– ალბათ, ბავშვობაში. ახლა ჩემი ხელი მტერსაც ნუ მოახვედროს ღმერთმა, – ღიმილით მიამბო.

საუკეთესო პედაგოგი იყო, არაჩვეულებრივი გამომცდელი. გამოცდა ისე მიჰყავდა, თითქოს ტკბილად ესაუბრებოდა გამოსაცდელს, რომელსაც შიში და დაძაბულობა აღარ აწუხებდა და თუკი რამე იცოდა, თავისუფლად ჰყვებოდა ხოლმე. ამის გამო „ორიანსაც" იშვიათად წერდა. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტის პასუხი ლიტერატურაში თუ მოეწონებოდა, გრამატიკიდან მარტივ კითხვებს მისცემდა და ისიც იმგვარად, რომ დასტურის გარდა გამოსაცდელს არაფერი სჭირდებოდა. მერმე გაიღიმებდა და იტყოდა: ეყოფა. სხვა რამ აქ ვასწავლოთო.



# გულქართლი კაცი

დავითი მადლიანი ადამიანი იყო, წრფელი, პირდაპირი, გულღია. სიკეთეს ჩუმად და უანგაროდ თესავდა და ისე კი, რომ ხშირად იმან, ვისაც ეხმარებოდა, არც კი იცოდა ეს, ან შემთხვევით თუ შეიტყობდა. ერთხელ, მისაღები გამოცდების დროს, დავიჩივლე: ისტორიის ფაკულტეტზე აბიტურიენტები სულ ყმაწვილები არიან. მე ბევრი „2" დავწერე და ვაითუ ვინმემ მახლევინოს-მეთქი. წავედი შინ. მეორე დღეს, ვხედავ, ჩემ მიერ გასწორებულ ყველა ნაწერში დავითის ხელმოწერაც არის. სხვა დროს უფრო დიდ საქმეშიც წამეშველა, საყვედურიც მიიღო ამის გამო, მაგრამ ჩემთვის ეს არ გაუმხელია, შემთხვევით შევიტყვე.

გონებრივი და ფიზიკური შრომა თავდაუზოგავი იცოდა. ეგონა, ვერაფერი მოერეოდა. ინვალიდობის ჯგუფი რომ მისცეს, გაოცდა, ექიმების შეცდომააო, ფიქრობდა. მართალია, მაღალი წნევა მაქვს, მაგრამ არ მაწუხებსო. თავს არ უფრთხილდებოდა.

გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე ვნახე, ვისაუბრეთ. წამიკითხა თავისი ლექსი, რომელსაც „ავანტიურა" ერქვა. ეს მისი თავგადასავალი იყო. საკუთარი თავი ნიკორა ხარის სახით ჰყავდა გამოყვანილი, ხარისა, რომელმაც დაზარდა „ორი მოზვერი, კარგები, ართუ ავები". სამწუხაროდ, ეს ლამაზი ლექსი აღარ მახსოვს. ლექსის ხელნაწერი კი ცუდი წინათგრძნობა გამიჩინა. გულდამძიმებული დავშორდი.

სულ მალე მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილმა ფეხზე მყოფს მოუსწრო და ზესტაფონში თავისი ალალი შრომით აშენებული სახლის კიბეზე წაიქცა...

„გულქართლი კაცი" უწოდა მოხდენილად მას ერთმა ენათმეცნიერმა. დიახ, იგი მართლაც იყო გულგაშლილი, კეთილი, უხვი, წრფელი, მართალი...

მეც მის მოგონებას ამ სათაურს ვაძლევ.

ლეილა კვანტალიანი

ქეთევან ბერიძე

# რუთ ნოიკომი

რუთ ნოიკომის შესახებ ბევრი სასიამოვნო სიტყვა მსმენოდა. ვიცოდი, რომ შორეულ შვეიცარიაში კიტა ჩხენკელის მოწაფეები დაუღალავად იღვწოდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის საკეთილდღეოდ. ძალიან მინდოდა მათი გაცნობა. 1994 წელს შვეიცარიაში ყოფნისას ვერ მოვახერხე ეს და ძალიან მაკლდა გული. სამი წლის შემდეგ კი ეს სურვილი შემისრულდა. ჩვენ არაერთი საათი გავატარეთ ერთად, ხოლო როცა გამოვემშვიდობე, ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყავით და რაკი ფართო საზოგადოება არაა საკმარისად ინფორმირებული ამ ღვაწლმოსილი ქალბატონის საქმიანობის შესახებ, გავბედე კალამის ხელში აღება.

რუთ ნოიკომი დაიბადა 1920 წლის 12 ნოემბერს ნოიჰაუზენში. რუთი ოჯახში მეხუთე შვილი იყო, 4 უფროსი ძმა ჰყავდა. ბავშვობა ნოიჰაუზენში გაატარა.

გიმნაზიის დამთავრების (1939) შემდეგ ციურიხის უნივერსიტეტში სწავლობდა ფრანგულ ენასა და ლიტერატურას, გერმანულ ლიტერატურას, ხელოვნების ისტორიას. უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა 1945 წელს დოქტორის ხარისხით. სადისერტაციო თემა იყო „ბორობი სულები ფრანგულ ტრაგედიაში".

ცოტა ხანს იყო ენის მასწავლებელი და წერდა რეცენზიებს. სანამ 1949 წელს მუშაობას დაიწყებდა გამომცემლობა Conzett & Huber-ში, რომელსაც მიეკუთვნებოდა „მანესეს გამომცემლობა" და „მსოფლიო ლიტერატურის მანესეს ბიბლიოთეკა."

მიახლოებით ამ ხანებში მან გაიცნო კიტა ჩხენკელი.

-კიტა მიყვებოდა საქართველოს შესახებ, - იგონებს რუთი. - თანაც ისე, რომ მალე მე უფრო და უფრო დავინტერესდი ამ მხარით, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი მსმენოდა. ძლიერ მომხიბლა ქართულმა ენამაც, რომელიც ძნელად შესასწავლ ენად ითვლებოდა. ამან ჩემი ცნობისმოყვარეობა გააღვივა და ინტერესი აღმიძრა, რაც ქართული ასოების მომხიბვლელმა მოხაზულობამაც განაპირობა.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. სამყაროს ერთი ნაწილი ნანგრევებად იყო ქცეული. ახალგაზრდა ვიყავი, ირგვლივ დიდ გაჭირვებას ვხედავდი და მინდოდა ვინმეს დავხმარებოდი. მაგრამ როგორ? კიტა ჩხენკელმა მიამბო, რომ დიდი ხანია, მიზნად ჰქონდა დასახული ქართული ენისათვის ევროპაში გზის გაკვალვა. როცა ვნახე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ამ გეგმის განხორციელებას, თავში აზრად მომივიდა, რომ, როცა ადამიანი თავისი სამშობლოსათვის ასე თავგანწირვით ზრუნავს, ის შესაბამის თანადგომას საჭიროებს".

რუთი ათეული წლების მანძილზე (1949-1980) სულ ერთსა და იმავე გამომცემლობაში მუშაობდა და დიდად იყო დაკავებული იქაური საქმეებით. თავდაპირველად იგი მხოლოდ თავის თავისუფალ დროს უთმობდა კიტა ჩხენკელის ქართულის გაკვეთილებს.

მხოლოდ 1960 წლიდან მიეცა მას საშუალება, კვირაში ერთი დღით დაეხსნა თავი საგამომცემლო საქმიანობისაგან, რათა ქართულ-გერმანული ლექსიკონის სხვადასხვა სახის სამუშაოებში მიეღო მონაწილეობა. მაგალითისათვის, მას უხდებოდა ქართული ზმნური ძირების სისტემატიზაცია, ვარიტაიპერზე დასაბეჭდად ლეა ფლურისათვის სტრიქონების მომზადება. ამას გარდა, მან 5-ჯერ წაიკითხა 3824 გვერდის კორექტურა.

„ჩვენ ვიყავით მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელმაც სამუშაოს მიუძღვნა მთელი თავისი თავისუფალი დრო. არასოდეს გვიფიქრია იმაზე, ეს სამუშაო მაღალი რანგისა იყო თუ დაბალისა, ჩვენ, უბრალოდ, აუცილებელ საქმეს ვაკეთებდით".



ლეა ფლური, ქეთევან ბერიძე, რუთ ნოიკომი

შვეიცარიაში, საერთოდ ევროპაშიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან ცოტა რამ იყო ცნობილი საქართველოსა და მისი მდიდარი კულტურის შესახებ. ამიტომ ჩხენკელმა გადაწყვიტა, „ვისრამიანის" მოკლე რედაქცია გადაეთარგმნა გერმანულად რუთთან ერთად. რაკი ამ თხზულებას თვალშისაცემი მსგავსება აქვს ევროპაში ფართოდ გავრცელებულ „ტრისტან და იზოლდასთან", ჩხენკელი ფიქრობდა, რომ ამით ევროპელი ლიტერატურათმცოდნეების თვალს მიაპყრობდა საქართველოს ძველი კულტურისადმი. ასეც მოხდა: მსოფლიო ლიტერატურის მანესეს ბიბლიოთეკამ 1957 წელს გამოსცა „ვისრამიანის" გერმანული თარგმანი.

მეორე დიდი საქმე, რომელსაც რუთი შეეჭიდა, „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა იყო. მან და კ. ჩხენკელმა თარგმნა 1958 წელს დაიწყეს. მათი თარგმანი, სხვა გერმანული თარგმანებისაგან განსხვავებით, პროზაული იყო და ორიგინალთანაც უფრო ახლოს იდგა შინაარსის მხრივ. ციურიხში ნათარგმნი ტექსტი ეყრდნობოდა ა. შანიძისა და ა. ბარამიძის 1966 წლის გამოცემას. თავდაპირველად მათ გაუჭირდათ, რადგან განიცდიდნენ „ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა გამოცემისა და სპეციალური ლიტერატურის ნაკლებობას, რაც მაშინდელი პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული. მათ

უჭირდათ საქართველოდან სათანადო გამოკვლევების მიღება რუსთაველის პოემის შესახებ. ამას გარდა, კიტა ჩხენკელის მთავარი საზრუნავი ხომ ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე მუშაობა იყო და, თუ რამენაირად გამოძებნიდა თავისუფალ საათს, ეხმარებოდა რუთს თარგმანში, მაგრამ ავადმყოფობის გამო კიტას უჭირდა მუშაობა. და, როცა 1963 წლის 23 ოქტომბერს ის გარდაიცვალა, რუთი მარტოდმარტო შეება „ვეფხისტყაოსანს". ამასობაში უფრო გაადვილდა საქართველოში გამოცემული რუსთველოლოგიური ლიტერატურის შოვნა. ერთგვარ დახმარებას ქართულ-გერმანული ლექსიკონის მასალებიც უწევდა. მალე დამხმარეც გამოჩნდა – რუსთველის საუკეთესო მცოდნე ვიქტორ ნოზაძე, რომელიც წელიწადში ორჯერ, სამ-სამი თვით, პარიზიდან ჩამოდიოდა სალექსიკონო მასალებზე დასახმარებლად და დროდადრო რუთსაც უწევდა კონსულტაციებს ტექსტის გაგებასა და დახვეწაში.

საერთოდ, რუთს ხუთჯერ მოუხდა თავიდან ბოლომდის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გადამუშავება და ბოლოს, 1974 წელს, „მანესეს გამომცემლობამ" გამოსცა წიგნი ციურიხში.

1970 წელს „ლიტერატურის მანესეს ბიბლიოთეკის" გრიფით ციურიხში გამოიცა „თანამედროვე ქართველი მწერლები", სადაც შესულია მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ლ. გოთუასა და გ. ჩიქოვანის მოთხრობები. წიგნს ახლავს რუთის ვრცელი ბოლოსიტყვაობა.

1974 წელს, „ქართულ-გერმანული ლექსიკონის" დასრულებასთან დაკავშირებით, ციურიხის კანტონის ხელმძღვანელობამ მისი „განმსრულებელნი"– ლეა ფლური, რუთ ნოიკომი და იოლანდა მარშევი– აღნიშნა წლების განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომისათვის დააჯილდოვა.

1990 წელს „მანესეს ბიბლიოთეკამ" გამოსცა აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი" რუთ ნოიკომის და იოლანდა მარშევის თარგმანით.

რუთ ნოიკომი შვეიცარიის ერთ-ერთ ყველაზე სოლიდურ გაზეთში „Neue Zurcher Zeitung " სისტემატურად აქვეყნებს წერილებს საქართველოსა და ქართული ლიტერატურის შესახებ: 1981-91 წლებში მან დაბეჭდა წერილები ქართული ლიტერატურის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, შოთა რუსთაველის შესახებ.

გარდა ამისა, 1991-96 წლებში სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის რადიოთი გადაიცა რუთ ნოიკომის მიერ მომზადებული გადაცემები ქართული ლიტერატურის შესახებ: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ალ. ყაზბეგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ანა კალანდაძე, ლევან გოთუა.

რუთი ახლაც მუშაობს ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმანზე. უკანასკნელ წლებში თარგმნა ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა", ილიას „აჩრდილი" და ლექსები, გალაკტიონისა და ანა კალანდაძის ლექსები, ვაჟას პროზის ნიმუშები. ნათარგმნი აქვს „ბალავარიანიც", რომელსაც, მისი აზრით, ერთხელ კიდევ სჭირდება თვალის გადაკვრა და გაშალაშინება.

რუთ ნოიკომი ორჯერ იყო საქართველოში. 1968 წელს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ლეა ფლურისა და იოლანდა მარშევთან ერთად.

ასრულდა მათი ოცნება და თავიანთი თვალით ნახეს კიტა ჩხენკელის სამშობლო – საქართველო. ქართული კულტურისა და მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლის გამო ოფიციალურ ორკვირიან მივლინებას საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ორი კვირა დაუმატა, რათა ისინი უკეთ გასცნობოდნენ საქართველოს. „ყველგან, სადაც ფეხი დავდგით საქართველოში, დიდი სიყვარული და მოწიწება გვხვდებოდა", – იხსენებს ქალბატონი რუთი.

მეორედ რუთი 1985 წელს ესტუმრა საქართველოს ორი კვირით ლეა ფლურთან ერთად. შვეიცარიის მასწავლებელთა გაერთიანების მიერ მოწყობილი ჯგუფის შემადგენლობაში. ამ ჯგუფის მიზანი საქართველოს კულტურის ძეგლთა უკეთ გაცნობა იყო. დღეს ქალბატონი რუთი აქტიური წევრია „საქართველოს მეგობართა გაერთიანებისა შვეიცარიაში".

გადახედეთ რუთ ნოიკომის ნაღვაწის სიას და ნახავთ, რომ მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას. ქედს ვიხრი ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის წინაშე, რომელიც დღესაც დამვებს თვირად აიენებს, დაუღალავად ჩაჰკირკიტებს ქართული ზმნების ლაბირინთებს, რათა ევროპის გერმანულენოვანი მკითხველი ქართული სიტყვის სურნელს აზიაროს.

## გვახსოვდეს დედაენა!..




საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ვ. ბარნოვის ქუჩაზე ლამაზად გამოშხირალი ეზო და სახლია... მაგრამ რას წარმოადგენს, ვის უდევს ბინა აქ, ეს რომ გაიგო, ან ჩინური უნდა იცოდე ან – ინგლისური... დავიჯეროთ, ჩინეთში სხვა ქვეყნის საელჩოზე ჩინური წარწერა არ იქნება, ან ინგლისში – ინგლისური? ჩვენ რაღა მოგვდის?..

### წერილი რედაქციას

# მწამს... ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...

მრავალი წელია, ღრმად განვიცდი საქართველოში ჩამოყალიბებულ უმძიმეს სიტუაციებს. მეგონა, არსებული პრობლემების მთავარ მიზეზებზე მქონდა ნაფიქრალი და ჩემი გონების თვალით ვსახავდი მათი აღმოფხვრის გეგმებს: ლოცვით მივმართავდი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, მოგვევლინებოდა და ღვთის წყალობით მოგვეპოვებინა გამარჯვება ჩვენს მანკიერ ჩვევებზე.

ღვთის წყალობით ქრისტეს შობის ამ წმინდა დღეებში მომეცა საშუალება, წამეკითხა გაზეთ "ბურჯი ეროვნებისას" გასული წლის ნომრები; მის მე-3 ნომერში ამოვიკითხე სტატია მშობელთა ჯგუფის ხელმოწერით "დავფიქრდეთ ჩვენი შვილების რელიგიურ აღზრდაზე".

განმაცვიფრა მართლმადიდებლური დოგმატებისაგან გადახვევის მასშტაბმა იმ საქართველოში, რომელიც 16 საუკუნის მანძილზე გაიგივებული იყო საქრისტიანოსთან. ქართველი და ქრისტიანი სინონიმები იყო, არის და იქნება! ვერ იქნება ქართველი სრულყოფილი პიროვნება, თუ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება არა აქვს შესისხლხორცებული.

სტატიის დამწერნი ამხელენ თანამედროვე რელიგიური და ისტორიული შინაარსის წიგნების ავტორებს: ნ. პაპუაშვილს ("რელიგიის ისტორია") და რ. თვარაძეს ("რელიგია და კულტურა") მწვალებლურ მიდრეკილებებში, კ. ანთაძესა და ლ. ფირცხალავას ("შუა საუკუნეების ისტორია") აშკარა ეკუმენისტურ ტენდენციურობაში, საქართველოს განათლების მინისტრს თ. კვაჭანტირაძეს მის მრწამსში, რომ მღვდელი და სკოლა შეუთავსებელია. სტატიის ავტორები მოუწოდებენ ფართო საზოგადოებრიობას, დაფიქრდეს ჩვენი შვილების რელიგიურ აღზრდაზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გავიარეთ 70 წლის უღმერთო ხელმძღვანელობის ზეწოლა. ბუნებრივია, რომ დღევანდელი ხელმძღვანელი მუშაკების გარკვეულ ნაწილს არ გააჩნია ჭეშმარიტების ცოდნა, არა აქვს ქრისტიანული აღზრდა და ვილრე მათ მოვთხოვდეთ, საჭიროა მივცეთ სათანადო ცოდნა და თავიანთი შეცდომების გამოსწორების საშუალება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს უკან უფსკრულია და თუ ჩვენ არ წავიწევთ წინ, თუნდაც ერთი ნაბიჯით, უფლისაკენ, ჩვენს შვილებს ჩვენს უკან ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ ექნებათ.

ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანში აღფრთოვანებას იწვევს მოძმე სერბეთის სამაგალითო საქციელი, მათი მსოფლიო ეკლესიების საბჭოდან, ამ "უღმერთოთა "ინტერნაციონალიდან", გამოსვლა და ამ საქციელით "რელიგიური მოთმინების" სატანისტური "პრინციპის" დაგმობა.

მადლობა ღმერთს, საქართველოც დაადგა ჭეშმარიტების გზას. გამოვიდა მსოფლიო ეკლესიების საბჭოდან უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ხელმძღვანელობით. გამოვიდა იმისათვის, რომ დაუბრუნდეს თავის ისტორიულ წარსულს, საკუთარ ეროვნულ საფუძველს. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბოლომდე გაუძღვება ერს უფლისაკენ მიმავალ ვიწრო გზაზე.

ძვირფასო მამულიშვილებო! დროა გავერთიანდეთ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის გარშემო და დავიდოთ სავალდებულო წესად, განსაკუთრებულად ვთხოვოთ უფალს ადღეგრძელოს და გააძლიეროს ჩვენი კათალიკოს-პატრიარქი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი ერის ხელმძღვანელი ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაადგა ქრისტიანულ ცხოვრებას და ცდილობს ჩაწვდეს მის ჭეშმარიტებას; მისი ნებართვით საქართველოში ქრისტიანული დღესასწაულები დასვენების დღეებად არის გამოცხადებული. ღმერთმა ადღეგრძელოს იგი თავისი ოჯახით ყოველივე ამისათვის.

შადლობა ღმერთს, საქართველოში აღორძინების საფუძველი იყრება. დაგვრჩენია მხოლოდ ერთი, მაგრამ მთავარი პრინციპის დაცვა – ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში გაერთიანება. გავერთიანდეთ და დავიცვათ იერარქიის კანონი, მივმართოთ თხოვნით უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, ილია II-ს, დაავალოს სასულიერო პირებს, მეურვეობა გაუწიონ მომავალი თაობის აღმზრდელებს, განათლების განყოფილებისა და სამინისტროს თანამშრომლებს, რათა ისტორიული წარსულისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ღრმა ცოდნით შეიარაღებულმა მომავალმა თაობამ შეძლოს ჩვენ მიერ ჩაყრილ საფუძველზე აღორძინოს საქართველო!

ქრისტესმიერი სიყვარულით

**თომა თავართქილაძე**

მოსკოვი




# ქართულად თარგმნიან... ქართველ მწერლებს?!

თურმე ნუ იტყვით და, თანამედროვე მკითხველის დიდი ნაწილის გაუცხოება მოხდა ისეთი ქრისტიანული მნიშვნელოვანი ძეგლის" მიმართ, როგორიც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაა". ამის მიზეზი მკითხველის ძველ ქართულ ენასთან დაშორება და გიორგი მერჩულეს დიდებული ქმნილების „ზოგიერთი ადგილის სირთულე" (რა სახის სირთულე – ვერ გაიგებთ) ყოფილა...

ამ საკითხს დიდად შეუწუხებია ორი ქალბატონი, მანანა ანდრიაძე და შორენა ქაჯაია, და უპოვიათ გამოსავალი: გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" უთარგმნიათ თანამედროვე ქართულ ენაზე

და ასე გაუმარტივეს საქმე იმას, ვინც, რა თქმა უნდა, არც ამ „თარგმანის" კითხვით მოიკლავს თავს, თორემ ვისაც სურდა და სურს, ის უთარგმნელადაც იგებს და კითხულობს ქართული ენის ამ ბრწყინვალე ძეგლს.

თუმცა რა გვიკვირს: სამი ათეული წელია პროზაულად „თარგმნილი" „ვეფხისტყაოსანი" გადადის ხელიდან ხელში, არსებობს რამდენიმე გამოცემა... ამას წინათ „შუშანიკის წამება" და „აბო თბილელის წამება" თარგმნეს (იხ. „ბ.ე.", №8-9, 1997)... მალე ალბათ სულხან-საბასა და დ. გურამიშვილის ჯერი დადგება...

და ჩვენი ეროვნული სკოლა ფართოდ უღებს კარს ასეთ „თარგმანებს". უფრო მეტიც, მასწავლებლები ძალიან აქტიურობენ და აიძულებენ მოსწავლეებს, შეიძინონ საკმაოდ ძვირადღირებული ეს „თარგმანები"!

ვიღაცის აზრით ეს ბიზნესია!.. მაგრამ რის ხარჯზე – უმნიშვნელოვანეს ეროვნულ ფასეულობათა ხელყოფისა და შერყვნის ხარჯზე? რა დარჩა ამ თარგმანში მხატვრულად ფასეული, მერჩულესეული! „მთარგმნელები" გულახდილად აღიარებენ, მაგრამ რას შველის ასეთი აღიარება: თარგმანში „თავიდან ვერ იქნა აცილებული მცირეოდენი სტილური უხერხულობანი თანამედროვე ნორმებთან მიმართებით"...

ქართული კულტურის გადარჩენაზე უამრავი საუბარია, სამთავრობო შეკრებები ეწყობა: პრესა, ტელევიზია, რადიო... ესეც ხომ ჩვენი კულტურული ფასეულობის ხელყოფაა!..

„ვეფხისტყაოსნისა" თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" თარგმნა(!) იმის ტოლფასია, დიდებული ტაძარი დაანგრიოთ და უბრალო ფარდულს შეადაროთ თავი!

**მივმართავთ განათლების დარგის მესვეურებს:** განათლების სისტემაში ამგვარი „თარგმანებით" სარგებლობა **უნდა აიკრძალოს!** მკაცრად უნდა მიეთითოს იმ პედაგოგებს, ვინც ამას უწყობს ხელს!

იქნებ კანონმდებლებსაც ვეუქრათ, კანონი (ან მსგავსი რამ – დადგენილება, განკარგულება, ბრძანებულება...) ხომ არ შეიქმნა, რომელიც ქართველ კლასიკოსთა ქართულ ენაზე თარგმნას აკრძალავდა?! ამით იქნებ ვიხსნათ მთარგმნელები იმ ჯოჯოხეთური შრომისაგან, რაც მათ გალაკტიონის ლირიკის პროზად თარგმნისას მოელით: არადა ამგვარი თარგმანის საჭიროებასაც დაასაბუთებენ – უჭირს მოსწავლეებს გალაკტიონის ლექსის გაგება...

**P.S. „თარგმანის" ენობრივი განხილვისათვის არც დრო გვემეტება და არც ადგილი ჟურნალში...**




ჩვენგან რაღა უნდათო, იკითხავს ალბათ ამ რეკლამის პატრონი, ჩვენ ხომ ქართულად ვწერთო... ან რა უკვირთ, სიმღერითაც ვასმენინებთო ამ რეკლამას... ნუ გვეტყვიან, არაფერი რიტმში არ ჩაჯდებოდაო... ეს მტერობაა ენის...



